# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | კვირა, 24 მარიამობისთვე 1919 წ. № 181 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73



Алко

კინო-თეატრი. რუსთაველის პროსპ. № 21.

პირველი სეანსის დასაწყისი სად. 6 საათზე.

ანონსი ამ დღეებში ჩვენს ეკრანზე ნაჩვენები იქნება ცნობილი სურათი მსახიობის ინტიმური ცხოვრებიდან

## დასწიეთ ფარდა!..

კინო-ტრაგედია 6 დიდ ნაწილად.

მთავარ როლში **მაქსიმოვი** და ულამაზესი ქალი **ტერენი**. სურათი დადგმულია სახელმწიფო თეატრის მსახიობ მაქსიმოვის მიერ.



ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვლადიმერ გრიგოლის ძე ზაალიშვილი, შვილები გრიგოლ, სოლომონ, თამარი, მარიამ და ნადეჟდა, სიძე ივანე ფარსადანის ძე ლომიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ქვიროვასი მეუღლის და მეორენის დედის და სიდედრის

## ნატალიას

მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზედ 24 მარიამობისთვეს. 1—2605—1

ქ. კავკავში მარიამობისთვის 13 ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## გრიგოლ მიხეილის ძე ჩითაევი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მეუღლე მისი ოლღა მიხეილის ასული და შვილები მარო და ელო. 1—2606—1



## მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ღუმელებში და სამზარეულო ქურებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის საგანგებოდ დამზადებული ნახშირი და დიდ-ძალი კირი, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. ვაკეთებთ შეკვეთებს დიდ პარტიობით და წვრილ წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.

ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო". 15—1002—8

## თბ. საშუალო პოლიტეხნიკური სასწავლებელი

იღებს თხოვნებს ელექტრო მექანიურ და საამშენებლო განყოფილებებზე; პირველ განყოფილებაზე შემდეგი სპეციალური დარგები იქნება: სარკინიგზო, მექანიური და ელექტრო-ტეხნიკური; მეორეზე—გზათა საამშენებლო, სახურაოთ-მოძღვრო და ჰიდრო-ტეხნიკური, სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა ოთხი კლასის მოწმობა. მისამართი: თბილისი, დიდი მთავრის ქ. № 70. 1—2604—1



## კვირას 24 აგვისტ. ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში

გაიმართება სრულიად საქართვ. მწერალთა დღეობა

საკონცერტო დარბაზი:

1. ქართული სიტყვის სიმფონია: ყველა ქართველი მწერალი დღეობაზე.
2. მსოფლიო პოეზია: ლექსებს წაიკითხავენ: ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, გერმანელი, რუსი, სომეხი თათარი, თურქი, ელინელი, სპარსელი, მთიელთ ოსი და სხვა ტომის პოეტები.
3. ბ ა ლ ე ტ ი: ყველა ეროვნული ცეკვა:

ლეკური
ნაური
მოზდოკი,
უზუნდარა
ესპანური
რუსული
მალოროსიული
ნორვეგული
ებრაული
რუმინული
სომხური
ტანგო არგენტინა

ცეკვისათვის მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები როგორც ადგილობრივი ისე ბაქოდან მთიულეთიდან და ბათომიდან.

## გრანდიოზული სეირნობა

პოეტების კარნავალი, იტალიანური ბალაგანი. „პეტრუშკა." ოთხი ფუთიყუში საბედო ფურცლებით. ყვავილების ნიაღვარი. ლექსები მეტეორიტები. ლატარია კარუსელი. სპეციალური კრებული: ყველა ქართველ მწერლის ხელთნაწერი და ფაქსიმილე ავტორების სურათებით. ერთი ნომერი „ქართული მოდებისა". ოცდახუთი მოდელი შესრულებულ იქნება მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ. მწერლების მიერ ულამაზეს ქალის არჩევა. მომგებიანი ლატარია: 20 ფულიანი მოგება. პირველი მოგება ორი ათასი მანეთი. ლიტერატურული დუქანი: „ქართული ბოჰემა." ბაღის შუაგულში საწნახელი კრიშონით სავსე. მილიონი ექსპრომტი ყველა ენაზე. არა ჩვეულებრივი აუქციონი. და მრავალი სხვა. ღამის პირველ საათზე დაიწყება ბანკეტი რომელზედაც მოწვეულია ასი მწერალი სხვა და სხვა ტომის.

მუსიკა ევროპიული და აზიური. დასაწყისი კონცერტის საღამოს 9 საათზე. სეირნობა დილამდის.

დღეობის ქალბატონები: ქეთევან ამირაჯიბისა, მარიამ კვინიტაძისა, ალექსანდრა მელიქიშვილისა—ჰერცოგინი ლეიხტენ ბერგისა, ელისაბედ ორბელიანისა, ნინო გაბაშვილისა, თამარ მაყაშვილისა.

საღამოს პრეზიდენტი კოტე მაყაშვილი

(3—163—3)



!!ერთად ერთი!! მთელ თბილისში კარგად მოწყობილი

## კინემო „მინიონი"

რუსთაველის პრ. და ბარიატინსკის ქ. კუთხე

მარიამობისთვის 24-დან ჩვენს ეკრანზე მიდის ამერიკული სენსაციური სურათი:

## ფსკერისაკენ

დრამა 5 ნაწილად—მიცი პარლიას მონაწილეობით.

დასაწყისი სად. 7 საათზე

მოწაფეთა და ბავშვთათვის პირველ სეანსზე ფასები დაკლებულია

მარიამობისთვის 27-იდან „მოტყუებული ევა"


## ახალი პროტექტორატი

უკანასკნელ დღეების დეპეშებმა მოგვიტანეს სპარსეთზე ინგლისის პროტექტორატის დამყარების ამბავი. სიჩუმეში შემზადდა ეს დიდი საერთაშორისო აქტი, რომელმაც დაამთავრა ორი დიდი სახელმწიფოის, ინგლისისა და რუსეთის, დაპირისპირებული პოლიტიკა და ქიშპობა სპარსეთში გაბატონებისათვის. ინდოეთის ბატონებს, ავღანისთანის მფარველს, სპარსეთზე თვალი ეჭირა, როგორც ამ სამფლობელოების დასავლეთის კარზე. ამ ომის შედეგად მესოპოტამიის ხელში ჩაგდების შემდეგ, სპარსეთი კიდევ უფრო სუსტი შეიქმნა; უსპარსეთოთ, რომელსაც შუა ადგილი უჭირავს მესოპოტამიასა და ავღანისთან-ინდოეთ შორის, შეუძლებელი იყო ამ ქვეყნების გაერთება.

ინგლისმა სპარსეთი შეიფარა და მიზანს მიაღწია. ეგვიპტიდან, მდიდარი სივრცე, მესოპოტამიიდან ინდოეთამდე, ინგლისის კვერთხის ქვეშ მოიქცა. მოისპო სამუდამოთ სპარსეთის მხრიდან რუსეთის მუქარა ავღანისთან-ინდოეთზე. ბრწყინვალედ დააგვირგვინა ინგლისმა ამ პროტექტორატის აქტით თავისი დიდი ხნის საიმპერიო პოლიტიკა. ეხლა უფრო მშვიდათ ჩადგება იგი ამ თავის თვალუწვდენ გაერთიანებულ სამფლობელოში: რუსეთის შორეული საფრთხის ფრონტი ამ სამფლობელოსთვის ძალიან შევიწროვდა და ამ ფრონტის დაცვა ინგლისს ყოველთვის შეუძლიან გამარჯვების დიდი შანსებით.

დღეს ანარქიით მოცული რუსეთიც სამუდამოთ დამარცხდა თავის საიმპერიო პოლიტიკის ერთ უმთავრეს მისაღწევარში. პეტრე დიდიდან მოკიდებული, რუსეთის სახელმწიფოებრივი ენერგია გზას მოიკაფავდა ინდოეთის ოკეანესკენ და ორი საუკუნის შემდეგ, როგორც იქმნა, სპარსეთში შემოვიდა; აქ მას დაუხვდა თავისი ბუნებრივი მოქიშპე—ინგლისი და სპარსეთიც შეიქმნა მათი მუდმივი შეხლის ასპარეზი ორი დიდი სახელმწიფოს საიმპერიო პოლიტიკის დაპირისპირებული ინტერესი ერთმანეთს დაეჯახა შეუდრეკელის სიმტკიცით. დროებითი მორიგება სპარსეთზე გავლენის განაწილების ნიადაგზე მოხდა. 1907 წლიდან სპარსეთის ჩრდილოეთი რუსეთის გავლენის ზონაში შემოვიდა, ხოლო სამხრეთი—ინგლისში. ვინაიდან რუსეთი თავისი სახელმწიფოს ტერიტორიული კორპუსით ზედ სპარსეთზე იყო მიწოლილი, ამიტომაც მას მეტი საფუძველი და იმედი ჰქონდა, რომ სპარსეთში გაბატონება მას არ ასცდებოდა. დღეს ეს იმედი სამუდამოთ დაიღუპა. რუსეთი მოსწყდა სპარსეთს. ინდოეთის ოკეანისკენ გზა სამუდამოდ შეეკრა. საუკუნებრივი ორიენტაცია გაუბათილდა. თვის შედეგით ეს მეორე დიდი ომის წაგებას უდრის. სხვა დროს ინგლისის ასეთი განზრახვა რუსეთ-ინგლისს შორის casus belli იქნებოდა და საქმე უომრად არ გადასწყდებოდა. რუსეთი ჩაიკეტა, ოკეანეზე გასვლის პერსპექტივა დაეხშო.

დიდ ოკეანეს მოსწყვიტა იაპონიამ. ინდოეთისას — ინგლისმა. ბალტიის ზღვის სანაპიროს ომმა და რევოლიუციამ.

რას იზამს რუსეთი, რა გზას დაადგება? სამუდამოთ ხელს აიღებს ოკეანეში გასვლაზე, თუ ინტენსიურ მზადებას შეუდგება და იქ დაჰკრავს, სადაც ამას სახელმწიფოებრივი ინტერესის შეგნება უკარნახებს?

ცხადია, რუსეთი ნებაყოფლობით „კოლოფში" თავს ვერ მოიმწყვდევს. ამ ახალი პირობების მიხედვით იგი შეიმუშავებს თვის პოლიტიკის ხაზს და სათანადო მზადებას ამ თავითვე შეუდგება. ამ პროტექტორატმა რუსეთს ორი საუკუნის საიმპერიო პოლიტიკა გაუნადგურა და ახალი გზების საძებნელად მიაქცია.

თვით სპარსეთს ეს პროტექტორატი კეთილ შედეგებს უქადის. როგორც სპარსეთის ნებაყოფლობის აქტი, ცხადია რომ იგი მისთვის პოლიტიკურ-ეკონომიურად საჭიროა და ხელსაყრელიც. ორ სხვა და სხვა გავლენის ქვეშ მოქცეული სპარსეთი იძულებული იყო ინგლისსაც შეწყობოდა და რუსეთსაც, ამ ორ მის, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ბატონს; ამის გამო სპარსეთი ერთ პოლიტიკას, ერთ სახელმწიფოებრივ შემოქმედების გზას ვერ დაადგებოდა; ორთავე მხრიდან მას მოუხდებოდა ერთი მეორეზე მეტ შევიწროვებისა და იძულების ატანა. ეს ტრაგედია უნდა გაგრძელებულიყო, სანამ ან ორივე არ გავიდოდა სპარსეთიდან, რასაც თავისი ძალით სპარსეთი თავის დღეში ვერ მოახერხებდა, ან სანამ ერთ-ერთი მოქიშპე სპარსეთში საბოლოოდ არ გაბატონდებოდა.

ამ პროტექტორატის აქტით, ამ მხრივ მდგომარეობა საბოლოოდ გამოირკვა. სპარსეთ ინგლისის ურთიერთობა უფლებრივად ჩამოყალიბდა; სპარსეთი გაირკვევს თავის შინაური პოლიტიკის ხაზს და მთელ თავის ენერგიას ერთის გზით წარმართავს. ინგლისიც დაინტერესებულია სპარსეთის მოქალაქეობრიობის, მის კულტურულ-ეკონომიურ დაწინაურებით. და ამ მხრივ მას კიდევაც ხელს შეუწყობს. ამიერ-კავკასიის ქვეყნებისა და კერძოთ საქართველოსთვის ეს ახალი პროტექტორატი, თავისი პოლიტიკური შინაარსით და ლოღიკით, თავისი მიზნით, ხელსაყრელ აქტად უნდა ჩაითვალოს. ამ აქტით კიდევ უფრო ძლიერდება ის არგუმენტი და პოლიტიკური მოტივი, რომლის ძალით ინგლისი მუდამ შორს ერეკებოდა რუსეთს ბრიტანიის აზიის სამფლობელოსაგან. საქართველოს და სხვა ამიერ-კავკასიის ქვეყნების დღევანდელი ფაქტიური დამოუკიდებლობის ცნობა და ამ დამოუკიდებლობის განმტკიცება რუსეთს სამუდამოთ ქედს გადაღმა გადააგდებს; შეიქმნება ძლიერი ბუფერი და სპარსეთის მხრივ ინგლისს სამუდამოთ აშორდებოდა რუსეთის საფრთხე და მუქარა. ეს ახალი პოლიტიკური მომენტი მეზობლებმა უნდა გამოვიყენოთ.

## რუმინიის ბედი

უკანასკნელ დროს ახლო აღმოსავლეთში დიდი მნიშვნელობის ამბები ხდება, ყველაფრიდან აშკარათ სჩანს, რომ ამ ამბებს შეუძლიათ კიდევ ახალი კრიზისი გამოიწვიონ, როგორც ბალკანეთზე ისე მის მოსაზღვრე ქვეყნებში. რამდენათაც რადიოს აბნეული და მოკვეცილი ცნობებიდან შეიძლება გაგება რუმინიის ჯარს მოუხდენია უნგრეთის სახელმწიფოს სამხედრო ოკუპაცია. რუმინიის ჯარი ჰუნგრეთში იმ მიზნით იყო გაგზავნილი მოკავშირეთა მიერ, რომ დაემხო ბელა-კუნის ბოლშევიკური მთავრობა და ძირიანათ მოესპო კომუნისტური საფრთხე. რუმინიის ჯარმა ეს სამხედრო ამოცანა ძალიან მალე შეასრულა და წითელი ბუდაპეშტი დაიმორჩილა, ბელა-კუნის მთავრობა დაემხო, ზოგი წევრი მთავრობის რუმინელებს ჩაუვარდა ხელში, ზოგმა კიდევ მოასწრო ვენაში გაქცევა.

მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო გამარჯვებული რუმინიის ჯარი არ დაკმაყოფილდა იმით, რომ უნგრული ბოლშევიზმი დაამარცხა, ამის საკომპესაციოთ რუმინია ცდილობს თავის უფლება გაავრცელოს ჰუნგრეთზე და დაიპყროს ეს ქვეყანა.

წინად წარმოუდგენელი ამბავი იყო, რომ მამაცი მადიარები მხდალ რუმინელებს დაემორჩილებიათ და დაეპყროთ, მაგრამ დღეს მოკავშირეთა წყალობით ეს დაუჯერებელი ამბავი—მაინც ფაქტია.

რასაკვირველია, თუ ჰუნგრეთი რუმინიამ დაიპყრო ამაში ბრალი უდევთ უნგრელ მემამულეებს, რომელნიც ბოლშევიზმის შიშით მიეკედლნენ რუმინელებს. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს—დღეს რუმინიას ფაქტიურათ უჭირავს ჰუნგრეთის ტერიტორია.

მოკავშირეებმა მოსთხოვეს რუმინელებს უნგრეთიდან ჯარი გამოეყვანა მაგრამ რუმინიამ ყური დაიყრუა—და მოკავშირეებიც თითქო შეეჩვიენ იმ აზრს, რომ „რუმინიას მიეცეს მანდატი ჰუნგრეთზე"... ამის მოლოდინში რუმინია შეუდგა კიდეც ჰუნგრეთში ისეთ მთავრობის მოწყობას, რომელიც აღიარებს რუმინიის უფლებას უნგრეთზე... მაგრამ ამას არ ჯერდება რუმინია, თუ უწინ რუმინიის მთელ თაობათა ოცნებას შეადგენდა ბესარაბიის დაბრუნება—დღეს რუმინიამ ბესარაბია დაიბრუნა და ეხლა უფრო შორს აპირებს წასვლას. რადიომ მოიტანა ცნობა რომ რუმინიის ჯარს უნდა შეერთება დენიკინის ჯართან და ბოლშევიკების წინააღმდეგ ფრონტის გამართვა.

ჩვენ გვგონია, რომ ბელა-კუნის ისტორიის განმეორება ჯერჯერობით მაინც რუსეთში შეუძლებელი იქნება—მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

კასპიის ზღვის საზღვაო კონტროლი ინგლისელებმა აზერბაიჯანს გადასცეს.

უმაღლესმა საბჭომ ლატვიის ნოტა განიხილა.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მარიამობისთვის 23-ს იქ ჩავიდა ინგლისური კრეისერით სპარსეთის შაჰი მამედ კაჯარი. დღეს შაჰს სულთანი მიიღებს.

სოკალსა და ვილნოსკენ პოლონელების შეტევა ვითარდება.

პარიზში დაჰკრძალეს რუსეთის ყოფილი ელჩი იზვოლსკი.

მოხალისეებმა ჟიტომირი და ბერდიჩევი აიღეს.

ლოძის მაუდის ქარხნები ინგლისელების ხელში გადავიდა.

იმას, რომ რუმინია მეტათ გაძლიერდა და ამ გაძლიერებას შეუძლია ბალკანეთში ხელმეორეთ აანთოს ახალი ომის ცეცხლი. რუმინელებს ალბათ კარგათ ახსოვთ როცა გენერალი მაკენზენი ბულგარელების და მადიარების ჯარით სასტიკათ ანადგურებდა რუმინიის ციხე სიმაგრეებს რამდენიმე წლის წინად. და როცა რუმინია მოათავებს ტრანსილვანიის და უნგრეთის ბესერაბიის და რუსეთის ოპერაციებს პირდაპირ ბალკანეთისკენ იზამს პირს და შეეცდება თავის გეგემონია აქაც განამტკიცოს.

მაგრამ მადიარები ვერას დროს ვერ დასთანხმდებიან რუმინიის ბატონობას, ამას ეწინაალმდეგებიან აგრეთვე სლოვიანური ტომები: ჩეხები და სლოვაკები, აგრეთვე რუსეთიც ვერას დროს ვერ შეიქმნება რუმინიის საკერძო დავლად და შეიძლება ამ დიდ ავანტიურას, რომელსაც ეწევა ეხლა რუმინია, სწორედ რუმინიის აფეთქება მოჰყვეს, რადგან ისტორიას ჯერ არ ახსოვს ისეთი მაგალითი, რომ ეს სასწაული დასაჯერებელი გახდეს.

რუმინია ჯერ-ჯერობით ასრულებს მავრის საქმეს, მაგრამ ეს მავრი არ მოუცდის ბატონისაგან დათხოვნას და თავისთავად გაათავებს თავის კარიერას კატასტროფით...

## მცირე შენიშვნა

ქართველ ერს დიდი სამხედრო ძალა აქვს, ოღონდ საჭიროა ამ სამხედრო ძალის წესიერი მოწყობა. მას უნდა დღეს გაათკეცებული მზრუნველობა. განმეორება საჭირო არ არის, რომ ქართველი ერი არ ფიქრობს ვინმეს დაეცეს. ის მხოლოდ თავის თავისუფლებას იცავს. და ძნელია წარმოიდგინოთ ისეთი ქართველი, რომ თავდაცვის საქმეში განზე გადგეს. ოღონდ საჭიროა განზრახული სამხედრო რეფორმა სისწრაფით და წესიერად გატარდეს. მე აქ მივაქცევ მთავრობის ყურადღებას ერთს გარეგნულ, მაგრამ დიდ მნიშვნელოვან მხარეს. დღემდის ჩვენ ჯარს არ ჰქონია საკუთარი ფორმა, განსაკუთრებით აფიცრობას. ამის გამო ჩვენში ძნელი გასაგები იყო, თუ ვინ არის საქართველოს რესპუბლიკის აფიცერი და ვინ არის უცხო. ბევრი ფორმას ატარებდა და სამსახურში არ იყო. ეს მოვლენა შეუძლებლად ხდიდა წესიერ დისციპლინას აფიცრობაში და საზოგადოდ ჯარში. დღეს ჩვენ აფიცრობას განსაზღვრული ფორმა აქვს. ოღონდ ძნელია ხელმოკლე აფიცრობისთვის ახალი ტანისამოსის შეკერვა. ამიტომ სამხედრო სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები, აფიცრობას აღმოუჩინოს შესაფერი დახმარება, მოსთხოვოს დაუყოვნებლივ ფორმის შეძენა და სასტიკად აკრძალოს არამოსამსახურე პირთათვის სამხედრო ფორმის ტარება. იმედი გვაქვს, ეს მეტად საჭირო საქმე სასწრაფოდ შესრულებული იქნება.

რაკი ფორმაზეა ლაპარაკი, ვისარგებლებ შემთხვევით და მივაქცევ სხვა უწყებების ყურადღებასაც ამ საქმეს. ჩვენ ჩვენ თავს დემოკრატებს ვეძახით. საზოგადოდ დემოკრატია ერიდება ყოველივე განსხვავებულ ნიშნებს, თუ არა აუცილებელ საჭიროების გამო. ჩვენში კი დღემდის ორ სართულიანი კაკარდები ხშირია, განსაკუთრებით განათლების იუსტიციის სამინისტროებში მოსამსახურეთა შორის. ვერ გამიგია, რათ ესაჭიროება სოფლის მასწავლებელს ეს ორსართულიანი კაკარდა. კარგი იქნება, რომ ამასაც მიაქცევდეს ყურადღებას სათანადო უწყება.

ვ. ხურგულაძე.

## ინგლისიდან საქართველოში

საუბარი („საქართველოსთვის“)

პარასკევს 22 მარიამობისთვის ინგლისიდან საქართველოში ჩამოვიდა ლონდონის ქართული კოლონიის წევრი ბ-ნი ალ. მას—შვილი, რომელიც ჩვენს რედაქციას ზოგიერთი საყურადღებო ცნობები გაუზიარა.

**ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანი და ანტანტი.**

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შესახებ, ინგლისის პრესაში წინად ძალიან ბევრი იწერებოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მეტათ იშვიათად ეხებოდენ ამ საკითხს. ესეთივე მოვლენა ემჩნევა ინგლისის საზოგადოებრივ წრეებსაც. ინგლისის საზოგადოების განწყობილება შესახებ ამ საკითხისა ასე დახასიათდება:

„კავკასიის საკითხი—არის საგანი საზავო კონფერენციისა და ხალხთა ლიგის კომპეტენციისა და ამ ორგანოებმაუნდა გადასჭრან იგი საბოლოოთ.

**ინფორმაცია საქართველოს შესახებ**

— აქვს თუ არა ინგლისის საზოგადოებას სწორი ინფორმაცია საქართველოს შესახებ?

ბ-ნ დ. ღამბაშიძის ინგლისიდან წამოსვლის შემდეგ, ლონდონში საქართველოს წარმომადგენლობა ოფიციალურად არ არსებობს, მაგრამ ფაქტიურად ამ როლს ასრულებს ინგლისის ქართველი კოლონია, რომლის თავმჯდომარე ბ-ნი კ. ჯაბული არის იმავე დროს ლონდონის ქართველ საინფორმაციო ბიუროს გამგეც. ეს საზოგადოება სცემს ლონდონში ბიულეტენებს საქართველოს მდგომარეობის შესახებ და ცდილობს ებრძოლოს იმ ცრუ ცნობებს, რომელნიც ვრცელდებიან ინგლისში საქართველოს შესახებ.

**ეკონომიურ ურთიერთობაზედ.**

ინგლისში ამ ჟამად ძლიერ აინტერესებთ კავკასიის ბაზარი. მათ განსაკუთრებით აინტერესებთ შავი-ქვა (მარგანეცი), ბამბა მატყლი, თამბაქო. ყველაზედ ნაკლებ აინტერესებთ მათ ღვინო.

— რა ესაჭიროება ეხლა ინგლისს?

— ქვა-ნახშირი. ინგლისში ეხლა ქვა-ნახშირის კრიზისია, რაც დიდ გავლენას ახდენს წარმოების ყველა დარგზედ.

მსოფლიო ბაზარზედ ეხლა ამერიკა ბატონობს. ინგლისი, როგორც არ სცდილობს, რომ ნორმალური ცხოვრების პირობებზედ გადავიდეს და თავისი მრეწველობა შეუფარდოს ახალ მოთხოვნილებებს, მაინც საკმაო ხანი დასჭირდება, რომ თავისი განზრახვები შესრულებულ იქნენ. მსოფლიო ბაზარზედ უკვე დაიწყო ამ ორ სახელმწიფოთა შეჯიბრება.

**რუსეთის საკითხი.**

ინგლისის პრესა და საზოგადოებრივი წრეები თვალსაჩინო ყურადღებას აქცევენ რუსეთის საკითხს: დენიკინს და ბოლშევიკებს და საზოგადოებრივ წრეებს სხვა და სხვა სიმპატიები ემჩნევა: ლიბერალები და კონსერვატორები ისევ ითხოვენ, რომ ანტანტმა დახმარება გაუწიოს დენიკინს, მაგრამ მხოლოდ ფულით და არა ჯარით; ხოლო მუშები ითხოვენ, რომ ინგლისი არ ერეოდეს რუსეთის საქმეებში, თუმცა საბჭოთა რუსეთის პროგრამას ისინი მთლიანად არ იზიარებენ.

პეტერბურგის საკითხი ლონდონში გარდაწყვეტილათ მიაჩნიათ. ე. ი. ამბობენ, რომ იგი მალე იქნეს აღებული და ამ ოპერაციებში მონაწილეობას იღებენ ინგლისელებიც. ამასთანავე აღსანიშნავია, ერთი საყურადღებო მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ეხმარება ბოლშევიკებთან მებრძოლ ძალებს, იგი ხელს არ უშლის რომ კერძო საზოგადოებათა მიერ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა დამყარდეს—ეს მოვლენა მით აიხსნება, რომ გერმანიამ უკვე დაამყარა რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობა და იმის შიში, რომ საბჭოთა რუსეთში, გერმანულმა ბაზარმა არ გათიშოს ინგლისური ბაზარი, აიძულებს ინგლისელებს, დაიკავონ ეკონომიური კავშირი ამ რუსეთთან—განსაკუთრებით კოოპერატივებთან.

ლონდონში ამ ჟამად მრავალი რუსია. იქ ხშირად დადიან საზონოვი და მაკლაკოვი, რომელიც ეხლაც ლონდონში იმყოფება და დიდ მუშაობას იწევა, რომ ინგლისის საზოგადოებრივ წრეებში თავის სასარგებლო განწყობილება შეიტანოს.

**ინგლისი და გერმანია.**

ინგლისისა და გერმანიის დღევანდელი დამოკიდებულება ფრიად საყურადღებოა: ინგლისელები არ იზიარებენ ფრანგების თვალსაზრის, რომ გერმანია სამუდამოთ მოსპოს ეკონომიურად და პირ იქით, სწორეთ იმ მიზნით, რომ გერმანიამ პირნათლად შეასრულოს საზავო ხელშეკრულების პირობები, საჭიროდ მიაჩნიათ ეკონომიური დახმარებაც კი გაუწიონ მას, ყოველნაირი შეღავათის და კრედიტის სახით.

**ლონდონში.**

ინგლისის გარეგნული სახე სრულებითაც არ გამოცვლილა. მე ვცხოვრობდი ინგლისში, უკვე რამოდენიმე წელიწადი. უნდა ვსთქვა, რომ ომის პირობები ინგლისში საგრძნობელი არ ყოფილა. ინგლისში ეხლა დიდძალი ხალხია. სიტისში მილიარდის ხელშეკრულებები იკვრება. მსოფლიო ქალაქმა დღეს მრავალი ახალი პირები მოიზიდა, სიძვირეც, რასაკვირველია შეეხო ლონდონს, მაგრამ ფასებმა საერთოდ ერთი-ორად თუ გაიზარდენ.

**გ ზ ა ზ ე დ.**

გზა ლონდონიდან თბილისამდე ბ-ნმა მას-შვილმა გამოიარა 2-3 კვირეში.

## მდგომარეობა ნახიჩევანში

**ბრიტანეთის სარდლობის ოფიციალური განცხადება.**

ბრიტანეთის კონსული თავრიზიდან დეპეშით იუწყება, რომ ჯულფის ხიდზე ლიანდაგი სრულიად შესწორებულია, გარდა 18 ფუტისა და 8 დიუმის მანძილის, რომლის შეკეთება ჯერჯერობით ძნელდება.

—

სადგურ თავრიზის რუსი უფროსი ჯულფიდან ნახიჩევანში გაემგზავრა და თან წაიღო ინგლისური და ამერიკული ვაგონები. ამ გარემოებამ ხალხს აფიქრებინა ვითომც ჯულფაზე მიმოსვლა აღდგენილიყოს მაგრამ როგორც ერევნიდან იუწყებიან პოლ. პლაუდენის მოლაპარაკებამ ნახიჩევანის მაჰმადიანებთან მიზანს ვერ მიაღწია და მატარებელთა მიმოსვლა ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის.

## ინგლისელების და რუსების საერთო მოქმედება

**„საქართველოს“-ს საკუთარი ცნობა**

(ინგ. მის. დეპ.)

ბრიტანეთის სარდლობის ოფიციალური ცნობაა: ინგლისის და რუს მოხალისეთა ჯარებმა შეერთებული ძალებით შეუტიეს მდ. დვინის მიმართულებით. ყველა განზრახული სრული გამარჯვებით დამთავრდა. მტრის 6 ბატალიონი გაანადგურეს და ხელთ იგდეს 2500 ბოლშევიკი და 12 საველე ზარბაზანი. ბრიტანეთის და რუს მოხალისეთა ჯარს მცირე ზარალი მოუვიდა.

## გერმანიის ლაშქრის ხარჯთ აღრიცხვა

**„საქართველოს“ საკ. ცნობა**

(ინგ. მის. დეპ.)

ჰეკცერგერის მიერ შემუშავებული გერმანიის მომავალ ლაშქრის ხარჯთ აღრიცხვა უდრის 75 მილიონ გირვანქა სტერლინგს რაც ომის წინა დროის ხარჯთ აღრიცხვასაც კი აღემატება.

## ბრიტანეთის კონტროლი ბუდაპეშტში

**„საქართველოს“ საკ. ცნობა.**

(ინგ. მის. დეპ.)

ბრიტანეთის რამდენიმე მონიტორი და ორი სადარაჯო გემი მოვიდა ბუდაპეშტში მდ. ნავსნოზის საკონტროლოდ.

## ინგლისის პოლიტიკური მისია მას. ოლივ უორდროპის მეთაურობით

ინგლისის მისიამ აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიერ კავკ გაგზავნა მისია უორდროპის მეთაურობით, რომელსაც ეწოდება ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი. მისის წევრებად არიან ბ.ბ უაიტი მილინგან გრუნდი და სხვა. ბ ნ უორდროპს დავალებული აქვს მჭიდრო კავშირი დაიჭიროს ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან და დაიცვას ბრიტანეთის სავაჭრო ინტერესები ამიერ კავკასიაში.

## უმაღლეს საბჭოში

(ფრანგ. რადიო)

**უნგრეთის საკითხი**

უმაღლესი საბჭოს ოთხშაბათის სხდომაზე მოწონებულ იქნა უნგრეთის საზავო ხელშეკრულების პირობები სამხედრო, საზღვაო და საჰაერო ძალების შესახებ. ხელშეკრულება მოკლე ხანში გადაეცემა უნგრეთის მთავრობას.

**გენ. ფონდერ ჰოლცი**

უმაღლეს საბჭოში წარდგენილი საბუთიდან ირკვევა, რომ გენ. ფონ-დერ-ჰოლცს როგორც იყო დაუტოვებია ქ. მიტავა და ბერლინისკენ გამგზავრებულა. ის უკანასკნელ ხანამდე იბრძოდა. მისი წასვლის წინადღეს მოხდა შეთქმულება იმ მიზნით, რომ არეულობა მომხდარიყო და ჰოლცი ქალაქში დაბრუნებულიყო თავისი ჯარით. შეთქმულებაში მონაწილეობა მიუღია გერმანიის მთავრობის საოკუპაციო წარმომადგენელს კეტცს. შეთქმულების ხელმძღვანელნი დაუპატიმრებიათ. რეველის მთავრობამ ზომები მიიღო შეთქმულების წინააღმდეგ, რომელიც იმ მიზნით იყო მოწყობილი, რომ გენ. იუდენიჩი გადაეყენებიათ, მის მაგიერ გენ. ჯურკო დაენიშნათ და ამნაირად გაეადვილებიათ გერმანიასთან კავშირის შეკვრა.

## მწერალთა დღეობა

დღეს ქართულ კლუბში იმართება ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს ინიციატივით პირველი დღეობა ქართულ მწერლობის. ამ დღისთვის დიდი ხანია რაც დაიწყო მზადება. პროგრამმა საღამოსი გრანდიოზულია ყოველ მხრივ. საღამოზე მონაწილეობას იღებენ ასამდი პოეტი სხვა და სხვა ეროვნებისა. ქართველ პოეტებს გარდა იქნებიან. რუსი, სომეხი, სპარსელი პოეტები, ლექსების კითხვა იქნება ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. გაიმართება ბალეტები, რომელშიაც მონაწილეობენ საუკეთესო მოცეკვავენი.

აფიშებში გამოცხადებულ ნომრებს გარდა საღამოზე იქნება შეჯიბრება აშუღების, რომელნიც რამდენიმე დღეა ჩამოვიდენ თბილისში.

იქნება გამართული იტალიანური ბალაგანი — ნეაპოლიტანელი პულჩინელო... ამ საღამოსთვის საქართველოს ყოველ კუთხიდან გამოწვეულნი არიან როგორც მწერლები ისე მოცეკვავენი. საღამო დასრულდება გრანდიოზული ბანკეტით, რომელზედაც დაესწრებიან დაპატიჟებული პოეტები და წარმოთქმულ იქნებიან სიტყვები.

მწერალთა დღეობა პირველი საღამოა, რომელსაც მართავს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო. საზოგადოება ალბათ დააფასებს ქართულ მწერლობას და ამ დღეს მოვა საღამოზე, რათა ამით მოიხადოს თავის ვალი მწერლობის წინ და მწერალთა კავშირის საბჭოს საშუალებას მისცემს გაუძლვეს თავის საძნელო საქმეს.

## სასიამოვნო ამბავი

ს. უორდროპის დანიშვნის გამო ბრიტანეთის სარდლობის ოფიციალური ცნობით, ინგლისის წარმომადგენლად საქართველოში დანიშნულია და ამ ახლო მომავალში ჩამოვა. საქართველოში ქართველების მოყვარული და მეგობარი ცნობილი ოლივერ უორდროპი. ვინ არ იცის, ვისაც ცოტაოდნად მაინც თვალყური უდევნებია ჩვენი ცხოვრებისათვის, რომ ამ ოლივერ უორდროპმა და მისი ჩაგონებით მისმა დამ მის მარჯორი უარდროპმა ლონდონშივე შეიყვარეს საქართველო. შეისწავლეს ქართული ენა, სთარგმნეს საუკეთესო თხზულებანი ქართულიდგან. გააცნეს ინგლისის საზოგადოება ქართული ლიტერატურას და ისტორიას.

იმდენად მოყვარულია ოლივერი ქართველობის, რომ მასთან შემთხვევით დარჩენილ მგზავრებსაც კი უნერგავს ქართველებისადმი სიყვარულს; მაგალითად, რუსის პოეტმა ა. ბალმონტმა მასთან შემთხვევით ოკეანეს გემზედ მოგზაურობის დროს, მისგან გაიცნო რუსთაველი და მისივ წინადადებით სთარგმნა იგი თავის ენაზედ.

ბედნიერ და კეთილ იყოს საქართველოს ნათელი მეგობარის საქართველოში ჩამოსვლა!

## ქრონიკა

**ინგლისის ახალი მისია ამიერ-კავკასიაში.** თბილისში მყოფ ინგლისის მისიამ აუწყა საქარ. რესპ. საგარეო საქმეთა სამინისტროს რომ, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობით, ამიერ-კავკასიაში იგზავნება, ბრიტანიის მთავრობის ახალი პოლიტიკური მისია საქართველოში კარგათ ცნობილ ოლივერ-უორდროპის მეთაურობით, რომელსაც ექნება ბრიტანეთის უმაღლეს კომისრის სახელწოდება. მისის წევრებად არიან: ბ. ბ. უაიტი, მილიგანი, გრუნდი და სხვანი. უორდროპს დავალებული აქვს მჭიდრო ურთიერთობა დამყაროს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის, და ხელი შეუწყოს ბრიტანიას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის ეკონომიურ დამოკიდებულების გაფართოებას.

**შინაგან საქმეთა სამინისტროში** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისწერა სასწრაფოთ ზუგდიდის სამაზრო ერობას, რომ მიიღოს სასწრაფოდ სასტიკი ზომები იმ უწესობების შესახებ რომელსაც ადგილი აქვს ახლა სენაკ ზუგდიდ სოხუმის გზატკეცილებზე და ამ არა სასურველ მოვლენის აღმოსაფხვრელათ.

— სამინისტროს კანცელარიამ წინადადება მისცა თელავის მაზრის კომისარს მიიღოს ენერგიული ზომები მაზრაში ყაჩაღობის გაზშირების, სახლის დაწვის მკვლელობის და სხვა ბოროტ მოქმედების გახშირებაში.

**საგარეო საქმეთა სამინისტროში.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობების თანახმათ ბევრი ქართველი მოქალაქენი, განსაკუთრებით ქუთაისის ებრაელები ხშირათ უხვევენ კანონიერების გზას და საზღვარ გარეთ ან ძველი რუსული ან შინაური პასპორტებით იპარებიან და ათას გაუგებრობას ბადავენ სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაქციოს სათანადო ყურადღება რათა ყველა საზღვარ-გარედ წამსვლელს ჩამოერთვას ძველი პასპორტები საზღვარ-გარეთის და შინაური. გარდა ამისა სამინისტრო სთხოვს, განკარგულება გაიცეს, რათა ყველა ისინი, ვინც კონსტანტინეპოლიდან მოდიან და პასპორტებზედ არა აქვთ სათანადო ჩვენი მისიის ვიზა იქმნენ დაჯარიმებულნი.

**ერობის წარმომადგენელთა 2 ყრილობა.** ერობის ცენტრალური გამგეობა იწვევს თბილისში 11 სექტემბრისათვის რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობათა წარმომადგენლების 2-ე ყრილობას.

**„სალი კლდის“ რედაქცია.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გახსნეს გაზეთ „სალი კლდის“ რედაქცია და კანტორა.

**ახალციხის მილიციის შესახებ.** შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე წარუდგინა მთავრობას ვრცელი მოხსენება ახალციხეში მილიციის მოწყობის შესახებ.

**ხომხთა ლტოლვილების წასვლა.** ორშაბათს 25 აგვისტოს თბილისიდან ყარსისაკენ გავა ლტოლვილთა მატარებელი.

**მომრიგებელ კამერაში.** ცენტრალურ მომრიგებელ კამერის 1919 წლის ხარჯების მეოთხედის გადახდა ქალაქის გამგეობამ იკისრა.

**მილიციის კასა.** ქალაქის გამგეობის დადგენილებით აწიერიდან მილიციის კასსა ქალაქის გამგეობის კასსას შეუერთდება. კასსის მისაღებათ და სარ ვიზიით დაინიშნა საგანგებო კომისია.

### ბოროტ-მოქმედებანი.

**უსახელო წერილი „ერევნელ მაუზერისტებისაგან“.** ნ. აღაევისამ სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ მან მიიღო უსახელო წერილი, რომლითაც 2,000 მანეთს მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარით იმუქრებოდნენ. წერილს ხელს აწერენ „ერევნელი მაუზერისტები“. სისხლის სამართლის მილიციამ ეჭვით შეიპყრო კონში ალახვერდოვი.

**ქურდობა.** 18 აგვისტოს აბრამ ჯულმანის ბინიდან რამოდენიმე ათასი მანეთის სხ. და სხვა ნივთები მოიპარეს. ეჭვი აქვთ შის მოსამსახურე ქალზე.

**ქურდობა.** ნიკოლოზ გიგაურის ბინიდან (ფრეილინის ქუჩა) ბოროტ-გამზრახველებმა 8,000 მანეთის სხ. და სხვა ნივთები მოიპარეს. სისხლის სამართლის მილიციამ ქურდები აღმოაჩინა.

**დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მაიკ ბალდასარის ძე გომელაური, რომელსაც ვგ. სარქისოვისთვის რამოდენიმე ფუთი ფქვილი მოუპარავს.

## ქალაქის საბჭოში

21 მარიამობისთვის სხდომა

**ახალ წყალსადენის გამოყვანა.**

ამ საკითხის შესახებ საბჭოს ვრცელი მოხსენება წარმოუდგინა ქალაქის გამგეობამ.

გამგეობის წევრმა ბ. ბესელიძემ მოახსენა კრებას ვრცელი ისტორია ძველი მუშაობისა წალკის, ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროების გამოსაყვანათ და მოითხოვა რომ ამ წყაროებზე საჭიროა ვიქონიოთ რამდენიმე ვარიანტიო. მისი ხარჯთაღრიცხვით ნატახტრის წყაროების გამოსაკვლევათ საჭიროა 300000 მანეთი ხოლო ბულაჩაურიდან არაგვის გამოსაკვლევად 400000 მან. სულ 700000 მანეთი. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ხმ. ხუნდაძემ, გოთუამ ელიავამ.

საბჭო იღებს გამგეობის წინადადებას და ადგენს: 1) მიღებულ იქმნას ორი ვარიანტი და გამოძიებულ იქმნას როგორც ნატახტარის ისე ბულაჩაურის წყაროები 2) ვადათ რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს ეს გამოკვლევა 4 თვე დაიდო. 3) გამოკვლეულ იყოს აგრეთვე ქინვალის რაიონიც 4) დამატებითი ხარჯების გაწევა რაც ამ ქინვალის გამოკვლევას დასჭირდება დაევალოს საბჭოს.

**ბინების რეკვიზიცია.**

საბჭო ისმენს გამგეობის მოხსენებას ბინების რეკვიზიციის წესების შეცვლის შესახებ. მოხსენებას ადგენს ქალაქის მოურავი. მისი აზრით ვიდრე კანონმდებლობითი გზით ეს საკითხი გადასწყდებოდეს ბინების რეკვიზიციის საქმე ქალაქის გამგეობის ხელში უნდა დარჩეს. საბჭო ადასტურებს გამგეობის მოხსენებას და ადგენს ვიდრე დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს ამ საკითხს სანამ ქალაქის გამგეობამ აწარმოვოს რეკვიზიციის საკითხი იმ ფარგლებში, რომელშიაც დღეს იგი აწარმოებს.

**ხმ. მხარეულოვის შეკითხვა**

საბჭო ისმენს ხმ. მხარეულოვის მოხსენებას დვორნიკთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. ვინაიდან მოხსენება დაუსაბუთებელია საბჭო იღებს მხედველობაში ამ შეკითხვას, ხოლო ხმ გოთუას წინადადებას, რომ ახლო მომავალში დამუშავებულ იქმნეს ეს საკითხი გამგეობის მიერ იღებს როგორც სურვილს.

**კოოპერატივთა შუამდგომლობა**

საბჭო ისმენს თბ. კოოპერატივთა შუამდგომლობას, რომ მოხსნილ იქმნეს გაწერილი სასანიტარო გადასახადი 10 ათასი მანეთი კოოპერატივზე. კოოპერატივთა წინააღმდეგ ილაშქრებენ ხმ. ხუნდაძე, კახიანი, ი. რამიშვილი. ისინი არ ეხებიან კოოპერატივთა პრინციპს, ვინაიდან ჩვენი მდგომარეობა განსხვავებულია იმ ქვეყნების მდგომარეობიდან, რომლებიდაც უთითებენ მთხოვნელები. ქალაქის მოურავის აზრით გაწერილია გადასახადი 32 კოოპერატივზე, ნამდვილად კი 24 კოოპერატივია, რაც ასი-ათას მანეთამდე გადარჩენილ თანხას იძლევა. აი ამ თანხიდან შეუმსუბუქონ უფრო შემძლე კოოპერატივებმა გადასახადი ხელმოკლე კოოპერატივებს. საბჭო ძალაში სტოვებს ქალაქის გამგეობის ძველ დადგენილებას ამ საკითხის შესახებ და უარყოფს კოოპერატივთა შუამდგომლობას.

**ვაჭარ მრეწვ. დეპუტატთა თხოვნა**

გამგეობა ისმენს ვაჭარ მრეწველთა დეპუტატთა შუამდგომლობას სასანიტარო გადასახადის გაუქმების შესახებ. საბჭო უარყოფს მათ შუამდგომლობას.

**ეგნ. ნინოშვილის ბიუსტი**

საბჭო ისმენს გამგეობის მოხსენებას განსვენებულ ეგნ. ნინოშვილის ბიუსტის შეძენის შესახებ მექანდაკე იაშა ნიკოლაძისაგან. თვით ქანდაკებას ნიკოლაძე აფასებს 5.000 მანეთათ ხოლო მისი დადგმა სახალხო სახლში ქალაქს უჯდება 1,000 მანეთი. სულ 6,000 მანეთი. საბჭო ადასტურებს ამ მოხსენებას და უხსნის ამ თანხას.

**ჯამაგირების მომატება.**

საბჭო იღებს მოხსენებას გამგეობისას პასუხსაგებ თანამდებობის რამოდენიმე პირთა ჯამაგირების მომატების შესახებ საბჭოს 2 მაისის დადგენილების გამო.

**ერთდროული დახმარება.**

საბჭო იღებს მოხსენებას გამგეობისას სულით ავადმყოფთა თავშესაფარის სანიტარულ ზედამხედველის ა. ს. ჩხეიძის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სასკოლო სანიტარო ორგანიზაცია**

საბჭო იღებს მოხსენებას გამგეობის სასკოლო სანიტარო ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც უდგენს ექ. შ. მიქელაძე.

**დახმარება ბიბლიოთეკებს.**

საბჭო იღებს გამგეობის მოხსენებას განსვენებულ სანდრო მიისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა სამკითხველოსთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და აგრეთვე დიდუბის ბიბლიოთეკა სამკითხველოს დახმარების აღმოჩენის შესახებ.

**ირ. ევდოშვილის ქვრივის დახმარება.**

საბჭო იღებს მოხსენებას გამგეობისას განსვენებულ იროდიონ ხოსიტაშვილის (ევდოშვილის) ქვრივის დახმარების აღმოჩენის შესახებ და უნიშნავს ერთდროულად 5.000 მანეთს და ქალაქის სტიპენდიატებთა რიცხვში ჩარიცხვას მისი ობლებისას.

**მოსამართლეთა არჩევა.**

დასასრულ ქალაქის საბჭო ირჩევს სამ საპატიო მოსამართლეს ნაცვლად ბ. ბ. გომართელისა ქიაბრიშვილისა და ნათიშვილისა, რომელთაც თავი დაანებეს ამ თანამდებობას. მათ ნაცვლად საბჭო კენჭის ყრით ირჩევს მომრიგებელ მოსამართლეებად ბ. ბ. გომელაურს, შოთაძეს და რუსიას. ღამის 12 ნახ. საათზე თავმჯდომარე კრებას ხურავს.

## ხმები ოდესის აღების შესახებ

მარიამობისთვის 7-ს, სევასტოპოლში ოდესიდან ჩავიდა მატორიანი ნავი, რომლითაც სევასტოპოლში ჩამოვიდნენ მეზღვაურნი. მათ ადგილობრივ მეზღვაურთა კავშირში განაცხადეს, რომ მკათათვის 23-ს დილით, ოდესა დაეცა.

მოხალისეთა ფლოტის უფროსის ოდესის შესახებ ჯერ ოფიციალური ცნობა არაფერი მოსულა.

## საფრანგეთმა ბლოკადა განაახლა

შავ-ზღვაზე თავისი პრესტიჟის ასაწევად საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ შავ-ზღვაზე ბლოკადა განაახლოს. ეს მთავრობამ სისრულეშიაც მოიყვანა. ამას წინად მოულოდნელად ოდესის ნავთ-სადგურში შეიჭრა ოთხი ფრანგული ნაღმოსანი. ამის გარდა ოდესის სანაპიროზე ოჩაკოვამდე ფრანგული ნაღმოსნები დასცურავენ.

## მოხალისეთა სამფლობელოში

**დენიკინელები ჯავრის საყრელად ემზადებიან.**

ჩრდილო-კავკასიაში გამოსულ გაზეთ „რუსკაია მისლში“ დაბეჭდილია შემდეგი განცხადება:

მთავარ-სარდლის შტაბის კონტრ-მზვერავი პუნქტი, აგრეთვე თერგ-დაღესტნის და ასტრახანის მთავარ-სარდალთა შტაბები მოუწოდებენ ყველას, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან ჩამოსულთ, რომელთათვისაც ამ რესპუბლიკებში ვინმეს რამე ზარალი ან შეურაცხყოფა მიუყენებია, გამოცხადდნენ პუნქტში ოქმების შესადგენად, ჩვენებისა და განმარტებათა მისაცემად. ამის შემდეგ ამ რესპუბლიკათა დამნაშავე მოხელეთა სია უნდა შესდგეს და ყველას პასუხი მოეთხოვოს, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება.

**დენიკინის ახალი ხერხი.**

წითელ ჯარის წინააღმდეგ დენიკინმა გამოსცა მოწოდება, რომელიც არა მარტო თავის ჯარს, არამედ მოწინააღმდეგის ჯარებსაც დაურიგა ჰაეროპლანების საშუალებით:

„ვუბრძანებ ყველა რაზმების უფროსებს, მიიღონ სასტიკი ზომები, რათა თავისი ნებით წითელ-არმიელ-ტყვეთა გასამართლება ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს. ჯარის-კაცებს უნდა განუმარტოთ, რომ მოხალისეთ წასულ ჯალათ-კომუნისტის, ლატიშისა და ჩინელის გარდა მოწინააღმდეგის ჯარში იბრძვის დახვრეტის შიშით ჯარში წასული მშრომელი რუსი გლეხი, რომელნიც პირველ შემთხვევისთანავე გადადის მოხალისეთა მხარეს“. ეს ბრძანება თავდება შემდეგი სიტყვებით:

„თანახმად ამ ბრძანებისა, ენიჭება სიცოცხლე ყველა იმას, ვინც თავისი ნებით გადმოვა მოხალისეთა ჯარში. დაჰყარეთ იარაღი მშვიდობიანი გლეხნო, მუშანო და ამოგვიდექით გვერდში. სამშობლო გვლით, იგი თქვენ ცოდვებს გაპატიებთ“.

**ლოგანის ბრძოლა.**

ლოგანთან მოხალისეთა და ბოლ-

ევიკთა შორის დიდი ბრძოლა გრძელდება. ჯერ ასეთი ბრძოლა მოხალისეებს არა ჰქონიათ. პეტროვსკის ლაზარეთებში განუწყვეტლივ მოჰყავთ დაჭრილები. პეტროვსკში ბინების უქონლობის გამო რამდენიმე სახლის რეკვიზიცია მოახდინეს. ჰოსპიტალნი ვერ ასდიან დაჭრილებს.

## შეერთებული შტატები და საზავო ხელშეკრულება.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია ხმები თითქმის მთავრობამ მიჰმართა მოკავშირეებს თანახმანი იქნებიან თუ არა ისინი სენატის წევრის რუტის წინადადების საზავო ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანის შესახებ.

საერთო აზრი ისეთია, რომ თუ სენატი მიიღებს ამ შესწორებებს, მაშინ მოკავშირენიც თავის კონტრ წინადადებებს შეიტანენ

ტრაქტატის დამცველნი ამბობენ, რომ რუტის შესწორებები მეტად ცუდ შედეგს მოუტანს ქვეყანას და მეორის მხრით თვით რატიფიკაციის საქმეს მეტად გააგრძელებს და გაართულებს. ეს აგრეთვე ხელს შეუშლის ხალხთა ლიგის შექმნას. ზოგიერთნი პირიქით ამტკიცებენ რომ ამ შესწორების მიღებით საზავო ხელშეკრულება სრულიად გაუქმებულად ჩაითვლება.

## რომის პაპის ლეგატი

სტამბოლიდან ჩვენ მივიღეთ ინტერვიუ ერთი ჩვენი თანამშრომლისგან ვატიკანთან ახლო მდგარ პირთან, შესახებ რომის პაპის ლეგატის ანტონიო დელფიუშის ახალ მისიისა.

თანამშრომელი გვწერს, რომ ლეგატი დელფიური მიემგზავრება საქართველოში რომ მიულოცოს საქართველოს მთავრობას რომის პაპის ბენედიქტ მეთხუთმეტის სახელით, დამოუკიდებლობა, რომელსაც იგი საჯაროთ აღიარებს და არც კი ელის პარიზის კონფერენციას, ვინაიდან საქართველოს იგი ძველი დამოუკიდებელ ქრისტიან ერათ აღიარებს. ამის გამო ლეგატმა უნდა აღადგინოს საქართველოში კონკორდატი, როგორც ეს ძველად იყო და თვის წარმომადგენლად და მოუკიდებელი ეპისკოპოსი დანიშნოს ჩვენში და დაარსოს სემინარია ქართველ კათოლიკებისთვის. თვით ლეგატი დელფიუში დიდი მცოდნეა აღმოსავლეთისა საზოგადოდ და საქართველოსი კერძოთ. იგი ითვლება უმაღლეს სწავლულ საზოგადოებათა თავმჯდომარეთ და ეკუთვნის არა ბერების, არამედ სამღვდელოების ორდენს. მის მოსვლასთან დაკავშირებულია მთელი საქართველოს ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის გამორკვევა და სასურველ ნიადაგზე დაყენება. პაპის ლეგატი სხვათა შორის მიულოცავს აგრეთვე სომხის ერსაც თვის დამოუკიდებლობას, რომელსაც იგი საქართველოსთან ერთათ, სთვლის ძველ ქრისტიან ერათ.

კორესპონდენტი სხვათა შორის იწერება, რომ როდესაც პაპს შეჰკითხებიან, როგორ მოსაზრებულათ სთვლის, იგი იმ გარემოებას, რომ პაპი მისალოცავ გზავნის იმ სახელმწიფოებში რომელნიც ჯერ პარიზის კონფერენციას არ უცვნია დამოუკიდებლათ, მათ უწმინდესობას უპასუხნია რომ პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილება მისთვის სავალდებულო არ არისო, ვინაიდან იგი ბუნებრივ რაცხს ამ რესპუბლიკებს დამოუკიდებლათ, როგორც ძველ ქრისტიან სახელმწიფოებსაო და ამის გამო, დაუძენია, საქართველოსთან დაიჭერ იმავე კავშირს და იმ ნიადაგზე, როგორც ეს ძველათ რომსა და საქართველოს შუა სუფევდაო.

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 24.

**ანტისემიტიზმი ევროპაში**

**ლიონი** აგვ. 21 ანტისემიტიზმის ტალღა მთელ ევროპას მოედო. პარიზში მოსული ცნობებით, ებრაელთა მკვლელობა, რბევა და დევნა ისეთს ქვეყნებში ხდება, სადაც ამდენს ხანს ადგილი არა ქონია: განსაკუთრებით გერმანიაში მთავრობა იძულებულია ენერგიული ზომები მიიღოს ამ მოძრაობის ჩასაქრობად. უნგრეთში ბელაკუნის ჩამოგდების შემდეგ ბუდაპეშტში ებრაელთა რბევა მოხდა. ანტისემიტიური მოძრაობის ახალი მღელვარება

ისეთს ქვეყნებში როგორც რუმინია და პოლონეთია, როგორც ფიქრობენ მოხდა იმ პოზიციის გამო, რომელიც საზავო კონფერენციამ მიიღო ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. ოდესის ებრაელთა კომიტეტმა საზავო კონფერენციას წარუდგინა რბევის სია, რომელიც ამ ბოლო დროს უკრაინაში მოხდა. ელისავეტგრადში ებრაელთა ხოცვა ჟლეტა მოხდა ჯუმბარებს ისროდენ სარდაფებში, სადაც მთელი ოჯახები აფარებდა თავს. კაბორინში ორ დღე და ღამეს გაგრძელდა ხოცვა გადიევში ებრაელთა მთელი მცხოვრებნი ამოხოცეს. ტროსტიცში 314 ებრაელი მოჰკლეს. ჩერკასში მასიური ხოცვა მოხდა. ლიჟანში 400 ებრაელი მოჰკლეს. ბორბაში ერთი ქალის და 5 ბავშვის მეტი ყველა დახოცეს. პროსკუროვში მოკლულთა საერთო რიცხვი 5500 აღწევს. ლატოპოლში რბევა 8 დღეს გაგრძელდა. ნოვოგირგოროდში 200 ებრაელი მოკლეს. რბევა 6 დღე გაგრძელდა. კუბლიჩში მამაკაცები სულ ამოხოცეს. უმანში საშინელი რბევა და ხოცვა მოხდა. ალექსანდრიაში ებრაელები ერთიანად ამოხოცეს. კადიმში 200-ია მოკლული რაღმაინები 600 მოკლული. ოსტორგში დახოცილთა დიდი რიცხვია. რადომიგალში, ბელოგერში, ოლგობომპოში, ბრატლავში და ანანოლში საშინელი სისხლის ღვრა მოხდა. ვასილკოვი სრულიად გაანადგურეს. გუსიატინიდან, ბალტიდან, ვერხოვკიდან რბევის შესახებ დაახლოვებით ცნობები არ მოსულა.

## ინგლისური პრესა

**პოლონეთის შეტევა.**

სოკალისა და ვილნოსკენ პოლონელების შეტევა ვითარდება. ოპერაციებს ფართე მასშტაბით აწარმოებენ და უდიდესი მნიშვნელობისაა. შეტევა 80 კილომეტრის ფრონტზე სწარმოებს, უკვე მდ. ბერეზინას მიაღწიეს და ფაქტიურად მთელი ბელორუსია დაიპყრეს. ბოლშევიკების ჯარი ალბად ძალიან დამარცხებულა. პოლონეთის არმიამ ძველი ტერიტორია ერთიანად დაიპყრო და ამნაირად, დასრულდა შარშან პილსუდსკის მიერ დაწყებული ოპერაციები. ამ შემთხვევაში საინტერესო ფაქტი ის არის, რომ ქ. (§)-ში კავალერიის შესვლამდე 2 დღით ადრე პოლონელთა ჰაეროპლანებმა ჩამოყარა პოლონეთში მყოფ ამერიკულ მისიის მეთაურის მიერ ხელმოწერილი ფურცლები, რომელშიც ებრაელებს აფრთხილებდენ, რომ მათ ხელს არ ახლებდენ, თუ ბოლშევიკებს არ დაეხმარებიან. ამან ებრაელებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯართან ერთად ქალაქში შევიდა ამერიკულ მისიის წევრი ხადვიკი, რათა ადგილობრივ გასცნობოდა მდგომარეობას. მან განაცხადა, რომ 3 ებრაელი იქნა მოკლული: ერთი როგორც ბოლშევიკების წინამძღოლი, დანარჩენი ორი კი ბრძოლის დროს. ბელორუსების, ებრაელების და პოლონელების დელეგაციები სტეცკის მიესალმენ. ბოლშევიკების წასვლის შემდეგ ქალაქში სროლა შესწყდა. ვილნოში მდგომარეობა ასეთივეა.

**გენ. პერშინგი**

რომიდან იუწყებიან, რომ გენ. პერშინგმა ინახულა პანთეონი, მეფის საფლავს გვირგვინი დაადგა და შემდეგ პეტრე მოციქულის ტაძარი დაათვალიერა. კაპიტოლიაში გენ. პერშინგს ოფიციალური შეხვედრა გაუმართეს. შეხვედრას დაესწრენ მინისტრები, გენერლები და სხვები რომიდან გენ. პერშინგი იტალიის განთავისუფლებულ ქალაქებში გაემგზავრა

**კიდევ „გოლიათის“ გარშემო**

ყაზაბლანკიდან იუწყებიან, რომ უზარმაზარ ჰაეროპლანის „გოლიათის“-ს მოსაძებნად გაგზავნილ ჰაეროპლანებს ოკეანის გასწვრივ არ აღმოუჩენიათ „გოლიათის“-ს უბედურების კვალი. ცხადია, საჭიროა ჰაეროპლანები უდაბნოს შუაგულში გაიგზავნოს. საფრანგეთის აფრიკის დასავლეთ ნაწილის გუბერნატორმა უკვე მიიღო საამისო ზომები.

**იზვოლსკის გარდაცვალება**

პარიზში დაჰკრძალეს რუსეთის ყოფილი ელჩი იზვოლსკი. დაკრძალვას დაესწრენ: სამონოვი, გირსი, პიშონი, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი და მრავალი გარეშე პირი.

## ბოლშევიკური ცნობები

**სვიდერსკის წერილი.**

დასასვენებლად წასულ მუშათათვის რკინის გზებზე სამგზავროთ მოწმობათა მიცემის აკრძალვის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოტანილ დადგენილების გამო „იზვესტია“-ში სვიდერსკი სწერს: „ეს დადგენილება გამოიწვია უკანასკნელ დღეებში მომხდარმა სამხედრო ამბებმა, რომელმაც შეუძლებელი გახადა რამოდენიმე ათასი მუშის გადაყვანგადმოყვანა რკინის გზებზე. სამხედრო ოპერაციების გამო სრულიად შეწყვეტილია კერძო მგზავრების მიმოსვლა ყოველ ფრონტზე. ამ ვე დროს თავდაცვის საბჭომ ენერგიული ზომები მიიღო სხვა და სხვა კუთხისკენ დასასვენებლად წასულ მუშების უკან გადმოსაზიდათ. მატარებლებით კაცზე 2 ფუთის ტვირთის გადაზიდვის აკრძალვა გამოწვეულია სამხედრო მოსაზრებით და დიდი მნიშვნელობა აქვს სასურსათო მდგომარეობისთვის. ამ აკრძალვამ ბოლო უნდა მოუღოს ტრანსპორტის და სასურსათო რღვევას. 2 ფუთის გადაზიდვის ნება ივლისიდან დართეს და ამან გამანადგურებელი გავლენა იქონია სახელმწიფოს ტრანსპორტზე და დამზადებელ ოპერაციაზე.

**სამხედრო ცნობა**

**ჩრდილოეთის ფრონტი.** აგვის. 22. მეგეზერის რაიონში მურმანის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ზაონეჯის ნახევარ კუნძული დასტოვა... (?) ის მიმართ. ჩვენ ლინდოზეროს მიუახლოვდით.

**დასავლეთის ფრონტი.** პსკოვის რაიონში ოსტროვსკის მიმართულ. ჩვენი ჯარი გაქცეულ მტერს სდევნის და პსკოვის სამხრეთით სოფლები დაიჭირა. მდ. ველიკაიას დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ახალი პოზიციებისაკენ დაიხია. პლოცკის მიმართ. ჩვენი ჯარი უკან იხევს. ბორისოგლების მიმართ. მტერი ზარბაზნებს უშენს ბორისოვს. ბობრიუსკის მიმართ. ჩვენი ჯარი ახალი პოზიციებისაკენ იხევს.

**სამხრეთ დასავლეთის ფრონტი.** ჩვენ ჟიტომირი და ბერდიჩევი დავტოვეთ. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მტერმა ცვეტკოვო დაიჭირა. მარცხენა ნაპირზე ჩვენი ჯარი პერეიასლავისკენ იხევს.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** კურგანის რაიონში ჩვენ მდ. ტობოლიდან 25 ვერსზე წინ წავწიეთ. იალუტოროვის მიმართ. ჩვენ 150 ტყვე წამოვიყვანეთ. ტობოლის რაიონში ჩვენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით წინ მივიწიეთ.

**№ ის არმიის შტაბი.** ჩვენ მხარეზე გადმოსულთა სიტყვით, დენიკინის ჯარში დენიკინის მიერ ჯარში გაწვეული ჯარის კაცები ლაპარაკობენ, რომ მოელიან წითლების შემოტევას და ტყვეთ ჩავარდებიან მათ ხელში.

**ტროცკის მატარებელი** აგვ. 19. ტროცკი წერილში „უკრაინის აგვისტო“ იხსენიებს წარსული წლის აგვისტოს, როდესაც თეთრებმა სამარა და ყაზანი აიღეს და მოსკოვს ემუქრებოდნენ, წითელი ჯარი კი სუსტი და გამოუცდელი იყო, უკრაინა თავის აგვისტოს განიცდის. მაგრამ შარშან აგვისტო იყო არა მარტო შავი, არამედ ის იყო თვე უდიდესი, მუაობის თვე. მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

**მოსკოვი.** ენკენისთვეში მუშაობის ნაყოფი ვიხიმკეთ. ენკენისთვის 5 ავიღეთ ყაზანი, 12—სიმბირსკი, უკრაინისთვისაც აგვისტო არის თვე (გამოტოვებულია.) არამედ აღმშენებლობის მუშაობა. 10 ათასობით მუშები და გლეხები მიდიან ჯარის შესავსებათ. სურსათი მოდის და თანასწორად ურიგდება ჯარს. ორი მხრიდან მტკიცდება საბჭოთა უკრაინა შავ აგვისტოს შესაცვლის ენკენისთვის გამარჯვება: ჩვენ ხელები არ უნდა დაიუშვათ და სულით არ უნდა დავეცეთ.

**სამუსიკო მაღაზიების ნაციონალიზაცია.**

**მოსკოვი.** აგვ. 22. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მოხდეს ყველა სამუსიკო მაღაზიების, სახელოსნოების, საწყობების ნაციონალიზაცია და სახალხო განათლების სახალხო კამისარიატს გადაეცეს. მთელი ქონება და ინვენტარი, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებებს ეკუთვნის და აგრეთვე ამ ფირმების კაპიტალი სახელმწიფოთ საკუთრებათ ცხადდება. ამ მაღაზიების, საწყობების და სახელოსნოების მოსამსახურეები სახ. განათლების კომისარიატის სამუსიკო განყოფილებაში ჩაირიცხება.

**ლოძის ქარხნები.**

**ბერლინი.** აგვ. 20. „დიტშე-ტაგესციეტუნგის“ ცნობით, ლოძის მაუდის დიდი ქარხნები ინგლისელების ხელში გადავიდა.

**მოკავშირეთა სილეზიაში გაგზავნის შესახებ.**

**ლიონი.** აგვ. 21. უმაღლესი საბჭო სილეზიაში მოკავშირე სამხედრო მისიის გაგზავნას აპირებს, რათა სპარტაკელებსა, პოლონელებსა და გერმანელებს შორის შესწყვიტონ შეტაკება, რომელიც ევროპას ნახშირით დამშევას უქადის.

**ლიონი.** აგვ. 21. ცნობა, სილეზიაში მისიის გაგზავნის შესახებ მართალი არ არ ის, რადგან უმაღლესი საბჭო იმ აზრისაა, რომ ეს მდგომარეობას მხოლოდ გაართულებს.

## ბოლშევიკური ცნობები

**ალბანეთის თხოვნა**

**ლიონი.** აგვ. 20. საზავო კონფერენციის ალბანიის დელეგაციამ შეერთებული შტატების პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, დაიცვან ისინი მეზობელ სახელმწიფო იმპერიალიზმისაგან. ალბანიის წარმომადგენელთა სიტყვით, რომელნიც დაჟინებით მოითხოვენ პლებისციტის საშუალებით საზღვრების შემუშავებას, იტალიელები და სერბიელები ალბანიის საზღვარზე ხშირად გადადიან. დელეგაცია შეერთებული შტატების სამართლიანობის გრძნობას მიმართავს, სთხოვს ალბანიის ხალხის უფლებას მხარი დაუჭიროს. ალბანეთს, რომელსაც საუკუნოებრივი ომის შემდეგ დაუკარგავს მეზობლების სასარგებლოდ ნახევარი ტერიტორია, 1913 წელში აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მაგრამ ომის დაწყებისას დარღვეულ იქნა ალბანეთის ნეიტრალიტეტი ჯერ მოკავშირეთა ჯარების მიერ, შემდეგ მტრის შემოჭრით. ალბანეთმა ომის საშინელება გადაიტანა. ის სრულ განადგურებამდე მივიდა და და ათასობით მისი შვილები ულუკმაპუროდ დარჩა. მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ხალხის თვითგამორკვევის უფლება გამოაცხადეს ალბანეთმა თავის სამშობლოს გადასარჩენად იარაღი ხელში აიღო, რომ მოკავშირეების მხარეზე ებრძოლა.

მოკავშირეების გამარჯვების შემდეგ, რომლებმაც სამართლიანობის უფლება გამოაცხადეს, ალბანელებმა საზავო კონფერენციას წარუდგინეს ეროვნული მისწრაფებები ღ დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ტანჯვის საზღაურად დაუბრუნდებოდათ ის ნაწილები, რომლებიც ალბანეთის ომის შემდეგ მეზობლებს ეჭირათ. ალბანეთის დელეგაციამ არა ერთხელ სთხოვა საზავო კონფერენციას, რომ მისი ოლქების მცხოვრებთ, რომელიც საბერძნეთის თავდასხმის უბედურება გადაიტანეს და რომელთაც სერბიელები სისტემატიურათ ხოცდნენ, მიეცეთ უფლება პლებისციტისა ამერიკის ჯარის მფარველობის ქვეშ. ამის მაგიერ ის მოწმეა ქვეყნის დანაწილების საფრთხისა. იტალია ენერგიულად მოითხოვს ვალონის ნავთსადგურის და მის ახლო მდებარე ადგილების ახქსისას. საბერძნეთი ჩრდილოეთ ეპირს მოითხოვს, სერბია—ალბანეთის ჩრდილოეთ ნაწილს. ფიუმეს, დალმაციის და ფრაკიის საკითხის განხილვის დროს. სამხრეთ სლავიანებმა იტალიელებმა და ბერძნებმა ეროვნული პრინციპი წამოაყენეს. ალბანეთის საკითხის დროს ეს პრინციპი მათ სრულიად ავიწყდებათ. ალბანეთის ხალხის სურვილი, მიაღწიონ დამოუკიდებლობას, მეზობელ იმპერიალიზმის ძლიერებისაგან არის შეფერხებული. ალბანეთის ყველა იმედები ეხლა ამერიკაზეა დამყარებული. ალბანეთის მთელი ხალხის სახელით ალბანეთის დელეგაცია ითხოვს აიმაღლონ ხმა მისი სამშობლოს დასაცავად და მისი ეროვნულ დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

## ჩემი აღშფოთება

(პატივცემულ ქარ. საზოგადოების საყურადღებოდ)

არის შემთხვევები, როდესაც პრესსა ის ერთადერთი ნავთ-საყუდელია, სადაც შეურაცხყოფილი და უსამართლოთ დევნილი ადამიანი გულს იოხებს, შვებას ჰპოვებს და თავის ჭირვარამს გაუზიარებს ფართო საზოგადოებას. ჩემი შემთხვევაც ასეთია და მეც მინდა ვამცნო პრესსის საშუალებით პატივცემულ საზოგადოებას ჩემი ჭირვარამი, გამოვაშკარავო მთავრობის ზოგიერთი მოხელის თვითნებობა და სოფლად გამეფებული უსამართლობა და ანარქია.

ამ წლის 1-ს იანვ. 18-ს აპრილამდის სოხუმის მხარეში ვმუშაობდი, მიწების მიმღებ კომისიის თავჯდომარედ გახლდი. როდესაც სოხუმიდან დავბრუნდი და ავრარ. რეფ. განყოფილებას თავჯდომარეს ბ-ნ ჩადუნელს გადავეცი მოხსენება, აქტები და ანგარიშები, ვსთხოვე ჩემი ჯამაგირი, რაც მერგებოდა, მოეცა.

— თქვენ ჯამაგირი აღარ გერგებათ! მიპასუხა ბ-მა ჩადუნელმა.

— რატომ?

— სოხუმის საოლქო საადგილ-მამულო სამმართველოს 24 აპრილის დადგენილებით თქვენ სამსახურში აღარ ითვლებით.

— დიახ, მართალია ეგ დადგენილება სოხუმში იყო 2-ს აპრილს, რამ თუ ჩემს მოხსენებას ყურადღებას მიაქცევთ, ჩემი მოთხოვნილება სამართლიანია. ამ დადგენილებას მინამ მე მივიღებდი სამურზაყანოში, დრომ გაიარა, მანამ დაუსრულებელ საქმეებს დავასრულებდი, ამასაც დრო უნდოდა, თუ არა—და მანამ საქმეებს ჩავაბარებდი გალში ჩემს მოადგილეს, იმასაც ხომ დრო უნდოდა?

— მე თქვენ გეუბნებით, რომ 2-ს აპრილიდან სამსახურში აღარ ითვლებით და ჯამაგირიც არ გერგებათ! მიყვირის რიხიანად ჩადუნელი.

— სწორედაც ეგრეა! ხომ 2 ს აპრილიდან 14-ს აპრილამდის აქტები რომ დავადგინე, იმისი სამუშაო ხომ მერგება? მაინც და მაინც 21 აპრილს აქ ჰაეროპლანით ხომ არ გადმოვფრინდი?

ჩადუნელს ჩემი სიტყვა-პასუხი არ მოსწონდა, რომ ასე თავისუფლათ ველაპარაკებოდი და ამის გამო უფრო აწხლდებოდა, რომ როგორ ვუბედავდი მისი ხელქვეითი.

— თქვენ ჯამაგირს ვერ მიიღებთ!!.. დამიყვირა უკანასკნელად გაანჩხლებულმა ჩადუნელმა.

მას, გაანჩხლებულ ტან-მორჩილ ჩადუნელს, ზეიდან დავცქეროდი, ვინაიდგან მე თითონ ტან-მაღალი ვარ. მიეცა მისი ყვირილი. მისმა ხელ-ქვეითებმა მოწიწებით თავები წამოჰყვეს და ჩვენს შელაპარაკებას ყურს უგდებდნენ.

მეც ცოდვილი კაცი ვარ, როდესაც უსამართლოთ მეკიდებიან, არავის არაფერს ვუთმობ და ჩემის მოუთმენლობით მეც ვიყვირე.

— მაგ ყვირილით ვერავის შეაშინებთ! Вы не можете перекричать!

ჩადუნელი მოლბა:—კაცო, თუ კი ეგრე ყვირილი გცოდნია, რატომ სოხუმში არ გაიკეთე საქმეო?

— ? ?...

ასე, ამ გვარად, დღესაც ჯამაგირი 400 მან. და დღიური ხარჯიც—400 მან. ჯერაც არ მიმიღია.

გაიარა რამდენიმე ხანმა, მივმართე თხოვნით მიწად-მოქმედების მინისტრს ბ-ნ ხომერიკს, მოისმინა ჩემი თხოვნა შევიდა ჩემს მდგომარეობაში და მაშინვე ჩემს თხოვნაზედ წააწერა: „დაუყოვნებლივ მიეცეს სამუშაოთ და პირველ კანდიდატათ ითვლებოდესო.“

ეს თხოვნა გადაეცა ბ-ნ ჩადუნელს

— ჯერ ადგილი არა მაქვს, მიმართეთ ერობასო.

ეს იყო მაისში, უკვე მიწების განმანაწილებელ მდივნებს ნიშნავდნენ და საჭირო იყო შესაფერი კაცები. რასაკვირველია ჩადუნელზედ იყო დამოკიდებული, რომ ჩემთვისაც ადგილი მოეცა.

მან ეს არ მოისურვა,

რა გაეწყობა, „ბატონი თავის ნებაა“, როგორც გლეხები ამბობენ ხოლმე.

გამოუვალ პირობებში ვვარდებოდი თან და თან. ნორმას, რომელიც მომეცა, მეოთხე წელიწადია, გლეხები დაეპატრონენ ჩემს სახლ-კარმიდამოს და ბაღ-ვენახსა. დღესაც მათ ხელშია მივმართე არა ერთხელ და ორჯელ, სადაც ჯერ არს და ჯერ არაფერი ღონისძიებაა მიღებული.

ის ყველაფერი კარგად მოეხსენება ბ-ნ ჩადუნელს. რაგზას უნდა დავდგომოდი? ოთხი თვე ვტკეპნე თბილისის ქუჩები; დავდიოდი სხვა და სხვა დაწესებულებებში ალაგის სათხოვნელად და სამუშაოს საშოვნელად.

გორის მაზრის ერობას ვსთხოვე, სიღნაღის მაზრის ერობას იგივე გაუმეორე, ქალაქის მაზრის ერობაშიაც რამდენჯერმე ვიყავი და ყველგან მხოლოდ მპირდებოდნენ.

მიწად მოქმედების სამინისტროში, ქალაქის საბჭოში ყველა შევაწუხე. ტრანსპორტის საზოგადოებაში სავაჭრო-სამრეწველო პალატაში თხოვნები მაქვს შეტანილი, მაგრამ ჯერაც განსაკუთრებულია ჩემი ბედი.

მეტად მაკვირვებდა ჩემი მდგომარეობა. იმ დროს, როდესაც მე ასე ვეწვალებოდი ადგილის საშოვნელად, შორეულები კი ასე ადვილად ეწყობოდნენ დაწესებულებებში.

და ვერ გამომერკვია, რა იყო მიზეზი, რომ ვერსად ვღირსე სამუშაოს?

სოკრატმა სთქვა: „იცან თავი შენიო“. დიახ, ვიცნობ ჩემს თავს, რა შემიძლიან გავაკეთო და რის გაკეთებაც არ შემიძლიან. ისიც ვიცი ჩემი ღირსებაც და ჩემი ნაკლულევანებაც.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ მიმართულებას, ეს ყველამ იცის და ამაში ეჭვი არავის შეუძლია, რომ მე არა ვარ რეაქციონერი, არა ვარ დენიკინსი

მიმდევარი, არა ვარ კონტრ-რევოლიუციონერი.

ჩემი მისწრაფება—ეს ჩემი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის. ჩემი ნატვრა—ეს დემოკრატიული რესპუბლიკანური წესწყობილება არის.

როდესაც ვაკვირდები დაწესებულებებში მოსამსახურეთა კომპლექტს და ვტყობილობ მათ პიროვნებებს, ბევრი მათგანი მტერია ჩვენი დამოუკიდებლობის, ბევრიც დენიკინის მოტრფიალეა და ბევრიც შავი რეაქციონერია.—

და მასთანვე ყოვლად უტიფარნი და უვიცნი საქმისა და, რაც გასაკვირველია, თავიანთ დედაენის და წერა-კითხვის არა მცოდნენი დაწესებულებებში პარპაშობენ.

ცხოვრება თავისას თხოულობს. ჩემს ცოლ-შვილს რჩენა უნდა, ოთხნი სწავლობენ, და ისიც ამისთანა დროში შეუძლებელია უსავანოდ ცხოვრება.

მივმართე ისევ ჩემს დანგრეულ კერას და გავერანებულ ბაღ-ვენახს, რომ დავპატრონებოდი. გამიგონია! ვინ მიგიშვებთ?

ჯერ კიდევ ავი სულები პატრონობენ ჩვენს სახლ-კარ-მიდამოს და აცამტვერებენ მრავალ წლობით შექმნილ კულტურულ ბაღ-ვენახებს.

როდესაც ნორმაში 7 დეს. მომცეს ჩემი სახლ-კარ-მიდამო და ბაღ-ვენახი, მას შემდეგ ამ გაზაფხულზედ, რაც მცენარე ხეები იყო, ვაზი, ხეხილი მოსჭრეს და ასჩეხეს. დაბალ მეურნეობის დარგს მიჰყვეს ხელი, სახნავად გადააქციეს.

ვეკითხები მათ: რათ ჩაიდინეს ეს?

— დაუკარგოთ ღირებულობა მამულს, რათა უფრო იაფად ჩავიგდოთ ხელშიო, იყო ასეთი პასუხი ავი სულებისაგან.

თანახმათ მიწ. მოქმ. მინისტრის ბრძანებისა სასამართლოს მივმართე. გადავეცი პროკურორს შედგენილი ოქმი ადგილობრივ კომისარისაგან ბაღ-ვენახის გაჩეხისა და განადგურების შესახებ, სადაც იყო აღნიშნული რომ 606 ძირი ხე სხვა და სხვა ხეხილის, მუხისა, მურყნისა, კაკლისა 4-12 ვერსში მოეჭრათ და ვაზი აეჩეხათ.

ჩემი საჩივარი და ეს ოქმი პროკურორმა გადასცა სურამის გამომძიებელს. სურამში წავედი საქმის დასაჩქარებლად. იქ გავიგე, რომ სურამის გამომძიებელს გადაეცა ჩემი საქმე ბორჯომის გამომძიებლისთვის. ისევ ძველებური "Канцелярщина" სუფევს. სოფლების ადმინისტრატიული განაწილება შეუფერებელია, რომელ საბოქაულოს, განყოფილებას რომელი სოფელი ეკუთვნის, არ იციან. და აბა, ჩემო მკითხველო, სადაც ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, იქ რა საქმის გაკეთება შეიძლება?!

ხელ-ახლად მივმართე ბ-ნ ჩადუნელს, ვსთხოვე, დამენიშნე მდივნად ალბულაღის რაიონის კომისიაში.

— ერობისაგან კანდიდატურა საჭიროაო.

მივმართე თბილისის ერობაში ბ-ნ გვანცელაძეს, მაშინვე ჩემი თხოვნა შეიწყნარა და საგანგებოდ გაუგზავნა ჩადუნელს მოხელე, რომ სასურველია ფალავანდიშვილი დაინიშნოს მდივნად კომისიაშიო.

— სამი კანდიდატი მყავს დანიშნული და ფალავანდიშვილს, მართალია, მის წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მაგრამ მაინც ვერ დავნიშნავ, ასეთი პასუხი იყო ჩადუნელისაგან.

იქნება მართალია ჩადუნელი მივყევით სიმართლის კარამდის.

ავლევის რაიონში სამი თვეა დანიშნულია კომისიის მდივანი და მიწის მზომელი არა ჰყავს. ამავე დროს კი ორი მიწის მზომელია დანიშნული დიდ-თონეთის რაიონის კომისიაში, ერთი მათგანი კი მდივნობას ასრულებს.

ავჭალის რაიონში, სამი თვეა, მდივანს ვერა შოულობენ, რომ იქ კომისიამ მუშაობა დაიწყოს.

სართიჭალის რაიონის კომისიას მდივანი გაექცა, იგივეა ალბულაღის რაიონში.

აი, ასეთია სურათი კომისიებში, ბევრი ამისთანა მაგალითები სხვაგანაც ასეა. და თუ დაუკვირდებით, ძალთა განაწილება შეუსაბამოა და თუ ჰყავს კანდიდატები ბ-ნ ჩადუნელს, რატომ აცდენს ძალებს? რათ ეკიდება ასე დაუდევრად საერთო მსვლელობის საქმეს და ნაყოფიერად არ იხარჯება სახელმწიფო ფულები?

რაც შეეხება იმას, რომ მე ჯამაგირი არ მომეცა და ადგილსაც ვერ ვშოვობ, მარტო მე არა ვარ ამ ყოფაში, სხვებიც არიან და დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ჩადუნელის შესახებ.

—

დასკვნა ასეთია, მხოლოთ ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო, რომ დასკვნა უფრო გავითვალისწინოთ.

მიწ. მოქმ. მინისტრმა რამდენჯერმე ბრძანება გასცა ბეკამის რაიონის კომისრის მიმართ, რათა დაუყოვნებლივ ნორმა, რომელიც მიეცა ვ. და პ. ყიფიანებს, ჩამოერთვას ძალით მითვისებული გლეხებს და ჩაბარდეს პატრონებსაო.

კომისარი ბრძანებას არ ასრულებდა. შესაძლებელია ძალა არ შესწევდა; ისიც შესაძლებელია, რომ ბრძანებას ყურადღებას არც კი აქცევდა

მაგრამ როდესაც ცენტრალურ აგრარულ რეფორმათა განყოფილების თავმჯდომარე ბ-ნი ჩადუნელი მინისტრს ბრძანებას ყურადღებას არ აქცევს, აბა, სოფლის კომისარს რაღა მოეთხოვება?

აი, სწორედ დასაბამი ანარქიისა აქედან მომდინარეობს.

ნათქვამია: „თევზი თავიდან აყროლდებაო", და ყოველივე საქმე თუ სათავეშივე არ არის დაყენებული მკვიდრად, აუცილებლივ დანარჩენი ნაწილებიც დაიშლებიან.

—

ისევ სოფელს მივმართე. რაც ნორმაში მერგო უნდა გამეყიდნა, მოვშორებოდი იქაურობას, ვინაიდგან მათ არა ჰსურთ ჩემი იქ ცხოვრება და მინდოდა შემეძინა სხვა მხარეში უკეთესს პირობებში მამული, რათა ჩემი ცხოვრება უკეთესათ მომეწყო.

ავლევის ერობის თავმჯდომარემ გამომიცხადა:

— თქვენ ვერც გაჰყიდით და ვერც იჯარით მისცემთ დაკლებულ ფასებშიო.

თუ ნორმაში მიცემული და საკუთრებათ ითვლება, ვის რა საქმე აქვს, შინაურ საქმეებში ჩაერიოს?

თუ ერთ მხარეში ნორმასა ჰყიდიან და მთავრობა ნებას ჰრთავს, რატომ მეორეს უფლებას ართმევენ, მოიხმაროს, როგორც უნდა, თავისი საკუთრება?

არ კმარა სახლის განადგურება და მთელი საცხოვრებლის გატაცება? არ კმარა ბაღ-ვენახის გადაჩეხვა და გავერანება? და რაც დარჩა ჩემს ნებაზედ არ გავყიდო?!..

ჩემი აღშფოთება უმწვერვალეს წერტილამდის ავიდა.

მოთმინების საწყაო ავსებულია. კალამი ხელიდან მივარდება და მზათ ვარ იარაღს ხელი ვსტაცო, შევებრძოლო ამ ყაჩაღ მოძალადეებს.

**Legatus.**

## ყაჩაღი მორჩაძე

დღეს მთელ დასავლეთ საქართველოს შიშის ზარს სცემს ყაჩაღად გავარდნილი ვინმე მორჩაძე, რომელმაც მრავალი საზიზღარი და შემაძრწუნებელი საქმე ჩაიდინა.

ადგილობრივი ადმინისტრაცია მის წინააღმდეგ ვერაფერს აბერხებს და ქედმაღალი ავაზაკი თავისუფლად დასეირნობს იმერეთის დაბა-სოფლებში.

განსაკუთრებით მისი სამოქმედო ასპარეზი გახდა ლეჩხუმ-ოკრიბა, სადაც ვერც ერთმა კომისარმა ვერ გამოიჩინა ფეხი მის წინააღმდეგ. ავაზაკი კი კვეხულობს ამ კუთხის დასაკუთრებას და მფლობელობას. ხალხს ეშინია მისი და ძალაუნებურად იფარავს.

ეხლა ხან მორჩაძემ ოკრიბას ფულის კონტრიბუცია შეაწერა. როგორც თვით უთქვამს ეს სჭირია ქუთაისის ციხიდან თავის ამხანაგების გასანთავისუფლებლად.

ძნელია მისი თქმა თუ რამდენი მანეთის ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობის ხაზინას მორჩაძემ და კომპ. ამ წელში ოკრიბას რაიონში, კურსებში, ხრესილში, საწირეში და ნაძვაში აბანოებია, სადაც ზაფხულობით ხალხი არამც თუ ქუთაისიდან შორიდანაც კი მოდიოდა და ეს 2—3 წელია ხალხი მისი შიშით ვერ მიდის ვერც სააგარაკოდ და ვერც აბანოებზე, ამით რასაკვირველია დიდი ზარალი აქვს ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგსაც. საჭიროა ეცნობოს ხალხს რა რადიკალური ზომების მიღებას ფიქრობს მთავრობა, რომ ამ ვაჟბატონს ეს მხარე ჩამოერთვას და ამ რაიონში დაიწყოს ისეთი საზოგადოებრივი შემოქმედებითი მუშაობა როგორც სხვაგან: სკოლები, გზები, საავადმყოფოები და სხვ. ამ მხარის ყოველმხრივ ჩამორჩენილობა არა ერთ ხელ აღნიშნულა და ამიტომ საჭიროა ამ მხარის ყოველმხრივ ხელის შეწყობა თუ ეს ეხლავე არ მოხდა ხალხი ყოველ იმედს მოკლებული, იძულებული იქნება მორჩაძის ბრჭყალებში დარჩეს და როგორც მასთან შინაურულად მოაწყოს საქმე, ვინც კი ამას არ ინებებს, ის, მორჩაძე, არ დააყოვნებს რამოდენიმე ათეული ახალი მსხვერპლი გაიღოს, რომ ამით კიდევ თავის პრესტიჟი ხალხში აწიოს, და ეს მხარე მთლად მიისაკუთროს.

ზ. ეგრისელი.

## ბიბლიოგრაფია

**მელქისიდეკ ხელიძე, ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის მასწავლებელი მოკლე არითმეტიკული წესები.** ქუთაისი, 1919 წ. „განათლების" ამხანაგობის გამოცემა. ფასი არ არის აღნიშნული.

ეს წიგნაკი, ავტორის აზრით, ფრიად ვრცელი მიზნებისათვის არის გამოცემული.

იგი თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ამ წესების გამოცემა "გამოწვეულია მისი აუცილებელ საჭიროების გამო დღევანდელ გაქართულებულ სკოლებში", რომ ას ჩვიდმეტი წლის მონობამ ქართველ მოწინავე ინტელიგენციას,—მასწავლებელთ, პედაგოგებს და სხვ.,—დაუკარგა ქართულ ენაზედ მეტყველების უნარი; ამის გარდა ქართულ ენაზედ არ მოიპოვება არითმეტიკის სახელმძღვანელო, თუმცა არითმეტიკული კრებული კი ბევრია, არ არსებობს სამსჯელო ენა, რაიც მეტად საძნელოდ ხდის არითმეტიკის შესწავლას და მასთან თვით საგანს უშინაარსოდ და უაზროდ", და სწორედ ზემოდ დასახელებულ გარემოებამ უკარნახა ავტორს შესდგომოდა ამ „მოკლე არითმეტიკულ წესების გამოცემას". ავტორის აზრით ეს „წესები" დაეხმარება ცოდნის მოყვარე მოზარდ თაობას, „რომელიც არ კმაყოფილდება არითმეტიკული ამოცანების ლიტონი ახსნით და ითხოვს თვით საგნის შინაარსის განმარტებას, და მეორე მხრით თუნდა მცირედ ხელს უწყობს თვით საგნის შესწავლას". ამ წინასიტყვაობის შემდეგ იწყობა თვით „წესები". წესები შედგენილია კითხვა პასუხით, როგორც „ფილარეტის კატეხიზმო, ამ გვარათ: რა არის არითმეტიკა? რა არის რიცხვი? რა არის დათვლა? და სხვა. რასაკვირველია, ყოველივე კითხვას თავისი შესაფერისი პასუხი აქვს, რომელიც მოსწავლემ უნდა ზეპირად დაიხსომოს, რათა მან შესძლოს არითმეტიკულ დებულებათ სიღრმემდე ჩაწვდენა. აი ზოგიერთი პასუხებიც: „არითმეტიკა არის მათემატიკის ნაწილი, რომელიც გვასწავლის რიცხვებზედ ოთხი მოქმედების წარმოებას". ან „რიცხვი არის განსაზღვრული რაოდენობა ერთეულებისა". „რიცხვი უამრავია (?). რომ შევადგინოთ წოდება (?) ყველა რიცხვისა ერთიდან ტრილიონამდე, საჭიროა თუთხმეტი (?) სხვადასხვა სიტყვა". დათვლა არის „არითმეტიკის ის ნაწილი, რომელიც გვასწავლის ზეპირსა და წერით აღრიცხვებს". „კვადრატი ჰქვია იმისთანა ოთხკუთხედს, რომელსაც ოთხივე კუთხე და გვერდი სწორი აქვს" (?). „კუბი ჰქვია იმისთანა სხეულს, რომელსაც ექვსი გვერდი (?) თანასწორი კვადრატი აქვს" ნაწევრები სამ გვარია: წესიერი, უწესო და შერეული (?) „თუ გვინდა შევაერთოთ და გამოვაკლოთ ათწილადი ნაწევრები, უნდა მოვნახოთ მათი საერთო მნიშვნელი (?) „არითმეტიკული შეფარდება ჰქვია ორი რიცხვისაგან მიღებულ ნაშთს" (?) „გეომეტრიული შეფარდება კი ორი რიცხვისაგან მიღებული ნაწილადია" (?) და ასე შემდეგ. თუ ამას დაუმატებთ იმ უწესო მოქმედებებს, ან წესების უწესოებას რომელნიც წიგნში მრავლად არიან გაფანტულნი, მაშინ აშკარად დაინახავთ, რომ ეს „წესები", საგანს არამც თუ არ განმარტავენ, ან საგნის შესწავლას არამც თუ მცირედათ ხელს არ უწყობენ, არამედ უშლიან კიდეც მას. წიგნაკი თავისის კითხვა პასუხებრივი ცნობების გადმოცემით, არითმეტიკულ ცნებებს დოგმატიურ ხასიათს აძლევს. ეს წიგნაკი სკოლაში სახმარებელ წიგნს კი არა, და „ქალვაჟიანს". უფრო ჰგავს. არავითარ სარგებლობის მოტანა ამ „წესებს" არ შეუძლიათ. დეე ქართველი ინტელიგენცია,—მასწავლებლები და პედაგოგები—დარჩნენ ისევ ქართულ ენაზედ მეტყველების უნარს მოკლებულნი, ვიდრე ამ წიგნაკის ენით ამეტყველდნენ.

გიორგი ბურჭულაძე.

## საქართველო 1802-1820 წ.წ.

დაობლდა ქართლ-კახეთი, შეიქმნა შინაური უთანხმოება სასახლეში; გიორგის მეუღლე დედოფალი მარიამი და ერეკლე მეფის მეუღლე დედოფალი დარეჯან ერთმანეთს არ ჰზოგავდნენ მათი შვილებიც ხომ კიდევ უფრო გადაკიდებულნი იყვნენ ერთმანეთზე. მამულებსაც ისე დაერივნენ რომ ვინც უფრო ძლიერი იყო იმას მიჰქონდა შემოსავალი, ზოგნი მათგანი სრულიად ხელცარიელნი რჩებოდა.

რუსის მთავრობა ამ არეულობით სარგებლობდა და ხელს უწყობდა მის გაღრმავებას, სამეფო სახლეულობას მამულები ჩამოართვა, და სამაგიეროთ პენსია დაუნიშნა, მაგ. დედოფალ მარიამს თვიურად 580 მ., მის ქალებს სოფიოს და რიფსიმეს 100 მ, გაიანესა და ნინას 75 მ. მარიამ დედოფალს 500 მ. და მის შვილებს 100 მ., ამ მცირე ფულსაც გენერალ ლაზარევის წყალობით დროზედ ვერ ღებულობდნენ. ამის გამო მარიამ დედოფალი ასეთ წერილსა სწერს ალექსანდრე პირველს 22 ოქტომბერს 1801 წ.

„თუმცა დამენიშნა პენსია, მაგრამ არც მე და არც ჩემს შვილებს დღემდის კაპიკი არ აგვიღია, მამულებიც ჩამოგვართვეს და შემოსავალიც არსაიდან არის, როგორც ჩემი შვილი მიხეილი მოსკოვიდან მწერს, თქვენ გინებებიათ ყველა მამულების ჩვენთვის დაბრუნება და გთხოვთ თუ ეს ასეა მაშინ ეუწყოს გენ. ლაზარევს, რომ მან იცოდეს ყველაფერი, როცა თქვენ აქ წობრძანდებით მე მაშინ სხვა მამულებთან ერთად გთხოვთ დამიბრუნოთ სოფ. შილდა, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ვფლობდით და ჩვენი ბავშების სარჩენად იყო. მე რაც ამ სოფლიდან პური ავკრიფე და წისქვილში გავგზავნე გენ. ლაზარევმა პურიცა და წისქვილიც წამართვა". ბევრს სხვა რამეს უჩიოდა კიდევ დედოფალი გენერალ ლაზარევს.

ლაზარევი რასაკვირველია ყველაფერში თავს იმართლებდა, თუმცა ანგარიშს არავის უწევდა.

დედოფალმა მარიამმა და ბატონიშვილებმაც ჩქარა გაიგეს თუ რა მახეში გაებეს რუსებმა სამეფო სახლი. ახლა ადვილი მისახვედრი იყო, რომ საქართველოს თვითარსებობას ბოლო ელებოდა.

გენ. ლაზარევს გადაწყვეტილი ჰქონდა როგორც ქვრივი დედოფლები, აგრეთვე ურჩი ბატონიშვილები საქართველოდან გაეძევებინა. თავისი აზრი ადრევე მოახსენა რუსის მთავრობას და დასტურიც მიიღო.

### იულონ ბატონიშვილი.

საქართველოს ერთგულნი შვილნი ბატონიშვილები იულონ, ფარნაოზი და ალექსანდრე შეეცადენ ხალხისათვის ჩაეგონებინათ რუსეთისაგან ღალატი და სანამ გვიან არ იყო ადრევე იზრუნეთ სამშობლოსათვის და სანამ დიდი ჯარი რუსებისა კიდევ არ იყო მოსული საქართველოდან გაეძევებინათ იგინი. ბატონიშვილები ისე მოქმედებდნენ, რომ რუსის გენერლებს ცხადად არ გაეგოთ მათი განზრახვა და ამისათვის მეტად თავდაჭერილათ ეჭირათ მათთან თავი.

კავკასიის ჯარების უფროსი გენერალი კნორინგიც იმპაკურად ექცეოდა ბატონიშვილებს. ბევრს ტკბილს და სასიამოვნო წერილებსა სწერდა მათ, მაგრამ გულში კი ღალატის მეტი არა ედო. ეს კარგათ იცოდნენ ბატონიშვილებმა და ამიტომ მის წერილებს დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ.

ბატონიშვილებმა იცოდნენ, საქართველოს ტახტის აღდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა თუ ხალხი გაიგებდა რუსების ღალატსა და მათ მხარს დაუჭერდა, ამისათვის ისინი მუდამ წერილებს ჰგზავნიდნენ ქართლ-კახეთში, ხალხს საქართველოს მდგომარეობას აცნობდნენ და ერთგულებასა სთხოვდნენ.

ერთი ასეთი წერილი იულონ ბატონიშვილმა გორელებს გაუგზავნა 1800 დეკემბრის 20.

ქართლზე დიდათ იმოქმედა იულონის წერილმა. თავადმა, აზნაურმა, მღვდელმა თუ ერმა ყველამ იულონ ბატ. მეფედ გამოაცხადა და ერთგულების მტკიცე ფიციც მიიღეს. ქართლმა შეჰფიცა იულონსა, მაგრამ თითონ თბილისი კი სდუმდა. სდუმდა არა იმიტომ რომ არ თანაუგრძნობდნენ იულონს, არამედ მიტომ რომ იქ თავმოყრილი იყო რუსის ჯარი და მისი ეშინოდათ.

იულონი გორის მაზრაში მუშაობდა და თბილისსა და იქ მყოფ რუსის გამყიდველი გენერლებს არ ეკარებოდა. თბილელების მოქმედება და მათი იულონის მხარეზე გადაყვანა თავს იდვას ქართლის თავად-აზნაურობამა და გლეხობამ.

ამ მიზნით მათ წერილი გაუგზავნეს თბილელებს რომლებშიც სხვათა შორის სწერდნენ: „ყველამ იცით დიდამ მცირემდის, სანატრელ მეფე ერეკლეს მთლად საქართველოზე—როგორი ღვაწლი და ამაგი აქვს და აგრეთვე თითოსა და თითო ოჯახზე და აგრეთვე თითოსა და თითო კაცზე; მრავალჯერ თავი გადაუდვია ჩვენი გულისათვის ვინცა ვართ იმასთან გაზრდილნი და კაცად გამოყენებულნი ვართ; აგრეთვე რამდენი ტყვეობიდან არიან დახსნილნი, ესე კარგად იცით...

რაც მეფე ერეკლეს განუწესებია სასიკვდილოთ თავი უნდა მიცეთ, ჩვენგან იმ ანდერძზე გადასვლა არ იქნება. ჩვენ ერთად შევიყარენით ბატონიშვილს იულონსა და ფარნაოზს ვიახელით.. კიდეც შევფიცეთ, მეფეთაც ავიარეთ... დღევანდლიდამ სისხლი ერთად და ერთმანეთისათვის დაგვიქცევია, ახლაც ისე უნდა ვქნათ. ჩვენ ძმანი ვართ მეფე ერეკლეს სისხლით შეერთებული, ყველანი ერთ ხმათ უნდა ვიყვეთ. ამაზედ ჩვენ თავი სასიკვდილოდ უნდა დავსდოთ". ზედ აზის 12 ბეჭედი. იანვრის „გ" ქორონიკონს „უპთ" (ქორონ. 489).

ამ მოწოდების ამბავი გენერალმა ლაზარევმა გაიგო და შიშის ზარმა მოიცო. მან კათალიკოზს ანტონს მისწერა იულონი ეკლესიაში ქართლ-კახეთის მეფედ არ მოეხსენებინა, ეს ეწინააღმდეგება ხელმწიფე იმპერატორის ნებასო.

ამ დროს პეტროგრადიდან დაბრუნდნენ მეფე გიორგისაგან გაგზავნილი ელჩები თავ. გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი, რომლებმაც საქართველოს შესახებ უმაღლესი გრამოტა ჩამოიტანეს.

გენერალმა ლაზარევმა იულონს წერილი გაუგზავნა და სთხოვდა თბილისში მოსულიყო და უმაღლესი გრამოტა მოესმინა. იულონი, არამც თუ მოვიდა თბილისში, პასუხიც არ გასცა ლაზარევს. ამავე დროს ლაზარევს ამბავი მოუვიდა, რომ ბატ. ალექსანდრე ბორჩალოში შემოიჭრა თათრის ჯარით, ქიზიყში ომარ-ხანს უნდა შემოეჭრა, და იულონს უნდა მცხეთაში სამეფო გვირგვინი იკურთხოსო, თავზარ დაცემულმა გენერალმა თავი დაჰკარგა აღარ იცოდა რა ექნა. კიდევ ახალი ამბავი მიიღო; იულონმა მცხეთაში გვირგვინის კურთხევა ვერ მოახერხა, კახეთს მიდის იქ ალექსანდრეს შეუერთდება და გვირგვინს იკურთხებსო. ლაზარევმა უბრძანა კახეთში მყოფ რუსის ჯარის უფროს გენ. გულიაკოვს თავისი პოლკით და ერთი ზარბაზნით სოფ. მარტყოფში წასულიყო და იულონისათვის ხელი შეეშალა. თან სწერდა: „საქართველოში მეფე აღარ არის და არც იქნება, საქართველოს მართვა ხემწიფე იმპერატორისგან ჩაბარებული აქვს ბატონიშვილს დავით გიორგი მე-XII-სო. გენერალი გულიაკოვი ბატონიშვილებს დაედევნა, სოფ. ლილოსთან მან მრავალი თავად-აზნაურობა დაატყვევა, რომლებიც ბატონიშვილებს ახლდნენ. ბატონიშვილებმა კახეთში მოასწრეს გადასვლა—სიღნაღში მივიდნენ და იქ დაბინავდნენ, მაგრამ გაიგეს, რა გენერალი გულიაკოვი მას შისდევდა, კახეთს თავი დაანებეს და ქართლში გადმოვიდნენ. სიღნაღში მოგზაურობის დროს იულონმა ქიზიყის მოურავი ანდრონიკაშვილი დაატყვევა, უნდოდა თავის მხარეს მიემხრო, მაგრამ მან უარი უთხრა. ბევრი თავად-აზნაური იყო გატაცებული რუსების ჩინ-ორდენებით და ბატონიშვილებს ღალატობდნენ და ამასთანავე სამშობლოსა ღუპავდნენ.

ლაზარევმა ბატონიშვილებს ქართლში ჯარი დაადევნა. თებერვლის 10 ბატონიშვილებმა იულონმა, თეიმურაზმა და ალექსანდრემ ქართლი დასტოვეს და იმერეთს გადავიდნენ. იქ სოლომონ მეფესთან მოლაპარაკება გამართეს. უნდოდათ მისი ჯარის შემწეობით ისევ ქართლში გადმოსულიყვნენ და რუსები გაედევნათ.

ბატონიშვილების იმერეთში გადასვლამ ზოგიერთ სამშობლოს გამყიდავ თავადებს ფრთები შეასხა. მათში თავი ისახელეს მიხეილ და შანშე ერისთავებმა, ისინი მაშინვე გამოცხადდნენ რუსის ჯარის უფროსებთან, ერთგულება აღუთქვეს და ყველაფერი აცნობეს, თანაც სია წარუდგინეს იმ პირებისა, ვინც ბატონიშვილებს გაჰყვნენ იმერეთს. კნორინგმა იმერეთის მეფეს სოლომონს მოსთხოვა, ბატონიშვილები იმერეთიდან გაეძევებინა, მაგრამ მან თხოვნა არ შეასრულა.

ამ დროს იმერეთში ხმა გავრცელდა, რუსები ქართლს სტოვებენ და მიდიან, სოლომონმა ჯარი შეჰკრიბა, ქართლისაკენ გამოეშურა, მაგრამ ხმები ტყუილი გამოდგა.

რუსის პოდპოლკ. სიმონოვიჩმა სურამი, გორი და ცხინვალი დაიჭირა, სოლომონიც უკან დაბრუნდა.

გენერ. კნორინგმა წერილი მისწერა იმერეთს ბატონიშვილებს. ურჩევდა მათ თბილისში დაბრუნებას და თან ჰპირდებოდა ხელუხლებლობას, საჩუქრებს. თანაც აცნობა, რომ მე დავინიშნე საქართველოს მთავარ-მართებლად, 9 აპრილს მოვედი აქ, 12-ს ფიცი მივალებინე ხალხსაო კნორინგის წერილმა ვერ მოატყუა ბატონიშვილები. საუკეთესო საჩუქარი მათთვის ის იქნებოდა თუ რუსები საქართველოდან წავიდნენ. კარგად იცოდნენ, თუ ისინი კნორინგს ხელში ჩაუვარდებოდნენ მაშინვე ცივ-რუსეთისაკენ უკრავდნენ თავს. ამისთვის იულონმა კნორინგი პასუხის ღირსიც არ გახადა.

ავქსენტი აბხაზი.

## მიმოსვლა
### სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ

**გადის თბილისიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სალ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | სალ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | სალ. | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

გადის სალოღლში

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | სალამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | სალამოს | 9 ს. | 50 წ. |

მოდის სალოღლიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომში.**

გ ა დ ი ს

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

მ ო დ ი ს:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | სალ. | 8 ს. | 4 წ. |

**თბილისი-ხანაინი**

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. კ. ტყეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე სალამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

ბ. ბ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიილი და ... სევალის ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სალამოს 5—8 საათამდე მებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ... დავითის ძის ...
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914 და 606 შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და სალამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.